პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

1933 წ. ოქტომბერი
პარიზი
№ 36
1933 — OCTOBRE
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⁞⁞ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

აგვისტოსათვის

სანამ ქართველი ერი იარსებებს, ვერავითარი ძალა ვერ ამოგლეჯს მისი გულის სიღრმიდან 1924 წლის აგვისტოს გმირულ ბრძოლების ხსოვნას. ჩვენ კარგათ ვიცით ფაქტების ღირებულება; ვიცით, რომ ამ ბრძოლებმა მდგომარეობა ვერ შესცვალა და მტრის უღელისაგან საქართველო ვერ გაანთავისუფლა; მართალია ისიც, რომ ხალხის საუკეთესო შვილები ათასობით შეეწირა ამ უღელის გადაგდების უკეთილშობილეს ცდას; მაგრამ სრულიად თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ აგვისტო საამაყო დატაა ჩვენი ისტორიის, რომ მან გაუკვალა საქართველოს გამანთავისუფლებელ ბრძოლას ბრწყინვალე მომავალი და ცხადყო საბოლოვო გამარჯვება.

ვის შეუძლია ამ გამარჯვებაში ეჭვი შეიტანოს მას შემდეგ, რაც უიარაღო პატარა ერი არ შეუშინდა ვეებას, ტლანქ ძალას და საყოველთაო აჯანყებით ამცნო მთელ სამყაროს თვის ურყევი ნება ეროვნული სუვერენობის აღდგენისა! ამ უთანასწორო ჭიდილში მტერმა შესძლო ქართველი ხალხის ფიზიკურად დამარცხება, მაგრამ განა შესაძლოა მდინარის უკან დაბრუნება? რაც ვერ მოხერხდა გუშინ, განხორციელდება ხვალ, ზეგ, ახლო თუ შორეულ მომავალში; ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით როდის დაკრავს ჟამი საქართველოს განთავისუფლებისა; მაგრამ ურყევია ჩვენი რწმენა, რომ აგვისტოს გმირთა ხელიდან გავარდნილი დროშა თბილისის სასახლეზე კვლავ აფრიალდება. ეს მხოლოდ სურვილი როდია, ეს ისტორიული აუცილებლობაცაა. მართალია, აგვისტოს შემდეგ საქართველომ განვლო მთელი ეპოქა აუწერელი ტანჯვით და მწარე გამოცდილებით აღსავსე, მაგრამ მიუხედავათ ამისა მას ერთხელ აღებული გზა არ შეუცვლია და დასახულ მიზანს არ გადადგომია: ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა და უცხო ურდოთა მისი საზღვრებიდან განდევნა იყო და რჩება ჩვენი ერის ძირითადი ამოცანა.

აგვისტოს მსხვერპლთა სამარე ქართველი ხალხის გულია: წყნარად და მშვიდათ განისვენებენ იქ სამარადისო ძილით: იციან რომ დღევანდელი თაობანი წმინდათ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას მათ და ერის წინაშე...

◆

საბჭოთა საგარეო პოლიტიკა

საგარეო პოლიტიკა მუდამ არის გაგრძელება საშინაო პოლიტიკის და ეწყობა მის ხაზზე.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკა განიცდის ცვალებადობას მათი საშინაო პოლიტიკის მიხედვით. რამდენათ სხვაფერდება ეს უკანასკნელი, იმდენად სხვაფერდება პირველი და იღებს ახალ სახეობას. ამ მხრით აღსანიშნავია სამი ეტაპი, ერთიმეორისაგან დიდათ განსხვავებული და სხვადასხვა მდგომარეობის მატარებელი.

საბჭოთა არსებობის პირველი პერიოდი ხასიათდება რევოლიუციური ბრძოლით შიგნით, მოხალისეთა ჯარების წინააღმდეგ, გარეთ კაპიტალისტურ მთავრობათა მიერ შემოქალტული. ამ ხანაში მოსკოვის საგარეო პოლიტიკა იყო რევოლიუციური ხასიათის, ბრძოლა ინტერვენციის წინააღმდეგ და განდევნა რუსეთის ტერიტორიიდან დენიკინ-ვრანგელის ჯარების და მათი დამხმარე უცხო რაზმების. ის იმყოფებოდა საომარ კონფლიქტში მსოფლიოსან და ითხოვდა ცნობას და ზავს. ეს პერიოდი დასრულდა საბჭოთა სრული გამარჯვებით; ხდება მათი ძალა-უფლების კონსოლიდაცია, გაფართოვება და მოგერებიდან საიერიშოთ მზადება.

მეორე პერიოდი ხასიათდება კომუნისტური იდეოლოგიის ჩამოყალიბებით, კომინტერნის და მისი აპარატების შექმნით, სახელმწიფო მართველობის პარტიის მიზნებისათვის ამუშავებით და რევოლიუციური ომების დროშის აღმართვით.

დღის წესრიგში დგას რუსეთის კომუნისტური რევოლიუციის ხსნა და უზრუნველყოფა ევროპის რევოლიუციით. ამ მიზანს ემსახურება მოსკოვის საგარეო პოლიტიკა: გაამწვავოს დამოკიდებულება სახელმწიფოთა შორის, დაუპირდაპიროს ისინი ერთმანეთს, არ მიემხროს გადაჭრით არც ერთ დაჯგუფებას, ებრძოლოს პოლიტიკურ და ეკონომიურ სტაბილიზაციას, შექმნას ყოველგან უკმაყოფილების და შუღლის ატმოსფერა. ერთი სიტყვით აწარმოვოს ყოველგან პოლიტიკა თაღლითობის, რასაც მანიოვრებს უწოდებდენ. ლენინის ინსტრუქცია გენუის კონფერენციისათვის ცნობილია: არ მიემხროს არც ერთ კოალიციას, დარჩეს მუდამ მესამე ფაქტორი.

თუ პირველი პერიოდი დასრულდა ყველა ფრონტზე სრული გამარჯვებით, ეს მეორე პერიოდი კი დასრულდა იმავე საშინაო და საგარეო ფრონტებზე სრული დამარცხებით.

კომუნისტური იდეოლოგიის ამოძრავებამ და რუსეთის სინამდვილეში გატარებამ განამარტოვა ხელისუფლება ხალხის ფართე მასებისაგან, გათხარა მათ შორის ღრმა თრმო, შექმნა ორი სამტრო ბანაკი და გაიმართა მათ შორის მტრობა და შუღლი. კომუნისტური პარტია და მისი მთავრობა კარგავს ხალხის თანაგრძნობას და იძულებულია დაეყრდნოს შიშველ ძალას, პოლიციურ აპარატებს. ისმება საკითხი არა რევოლიუციის გაღრმავების, არამედ თავის შენახვის, მოპოვებული ძალაუფლების შერჩენის. ამავე დროს კომინტერნის მუშაობა უცხოეთში იწვევს არა რევოლიუციას, არამედ რეაქციას. ჩაღდება ფაშისტური მოძრაობა, დგება ანტიდემოკრატიული მთავრობები, ბოლშევიზმი იდევნება, სუსტდება და მრავალ ალაგას სრულიად კვდება. აღარც კომუნისტური რევოლიუცია, აღარც რევოლიუციური ომი. მოსკოვი სუსტდება როგორც კომინტერნი და როგორც სახელმწიფო. ის ვეღარავის ვერ აფრთხობს, მისი აღარავის ეშინია; ეს უზარმაზარი სახელმწიფო გადაიქცა უსუსტეს სახელმწიფოთ. ხელისუფლების საზრუნავი გახდა არა თავს დასხმა, არა უცხოეთისათვის თავისი იდეოლოგიის ძალათ თავზე მოხვევა, არამედ პირიქით, თავს დაუსხმელობა, რომელიმე სახელმწიფომ ჩვენ ფვითონ არ მოგვახვიოს ძალათ თავისი წყობილებაო. ლენინის ეპოქა თავდება, სტალინ-ლიტვინოვის ეპოქა დგება, ეპოქა დაკნინების, დაძაბუნების, ნახევი ქალალდების, ფიცის და მტკიცის—თქვენც იყავით, ჩვენც გვამყოფეთო. მეგობრულათ არსებობა ორი ეკონომიური სისტემის—კომუნიზმის და კაპიტალიზმის—ერთიმეორის გვერდით ცხადდება ბოლშევიზმის უკანასკნელ სიტყვათ.

იწყება მესამე პერიოდი. ამ პერიოდის დამახასიათებელი აზროვნებაა კომუნისტური სახელმწიფო წყობილების დალვა საშინაო და საგარეო ფათარაკისაგან. რაკი საყოველთაოთ მიღებულია, რომ ეს წყობილება დაინგრევა პირველ საომარ შეხეთქებასან შიგნიდანვე, ხალხის საყოველთაო აჯანყებით, ცხადია, საბჭოები ცდილობენ ასეთი საბაბი უკმაყოფილო მცხოვრებთ არ მიეცეს და მით რაც შეიძლება დიდხანს ფეხით წყალზე გაჩერდეს. აი ამ თვალსაზრისით მოსკოვის საგარეო მდგომარეობა საგრძნობლათ შეიცვალა. მისი ცდა—იყოლიოს მოსაზღვრეთ პატარა, სუსტი და დაშინებული სახელმწიფოები დაბოლოვდა დამარცხებით. შორეულ აღმოსავლეთში ანარქიული ჩინეთის და უპატრონო მანჯურიის ალაგას მას ამოეტუზა დიდი იაპონია და თავისი ბრძანებლობა მიიყვანა ციმბირის საზღვრამდე. საბჭოებმა ამაში სამართლიანათ დაინახეს მომდგარი საფრთხე და იწყეს უკანდახევითი პოლიტიკა და ამავე დროს დასავლეთის საზღვრების უზრუნველყოფა. ეს საფრთხე არის რეალური თუ ფანტასტიური?

იაპონიის ძლევა-მოსილი განვითარების პირველი საქვეყნო ნიშანი იყო რუსეთის მის მიერ დამარცხება. კორეის დაპყრობით იაპონია კუნძულებიდან გადმოვიდა მატერიკზე და გაიჩინა გაფართოვების ბაზა. დიდმა ომმა გასწმინდა მანჯურიის ნაპირები ევროპიელებისაგან, კიოჩაუ გადავიდა იაპონელთა ხელში. გაბატონებული ლიბერალური წრეები ამით დაკმაყოფილდენ და საბჭოთა მთავრობასთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარეს. იწყება ჩვეულებრივი ლიბერალური ქანაობა: კონფერენციებით, ერთა ლიგით, სიტყვიერებით აზიის მეთაურობის ხელში ჩასაგდებათ. ამ ერთდაიმავე ადგილის უნაყოფოთ ტკეპნა იწვევს აღშფოთებას სამხედრო წრეებში. ფართე მასებში და აქტიური პოლიტიკა საერთო მოთხოვნილებათ ხდება. ლიბერალები კარგავენ ხელისუფლებას; სამხედრო წრეები გენერალ არაკის მეთაურობით ქვეყნის სათავეში დგებიან. ომი ჩინეთთან, მანჯურიის გამოყოფა, სარკინისგზო კონფლიქტი—აი ამათი აქტივობის პირველი ნაბიჯი. ქვეყანა ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხო—იაპონიის დღევანდელი სახელმძღვანელო პრინციპია. ისინი სამართლიანათ აფასებენ საერთაშორისო უმწეო მდგომარეობას და ფიქრობენ, რასაც მოასწრებენ ახლა, შემდეგ გვიან იქნება.

იაპონიის ეს აგრესიული პოლიტიკა არის წარმავალი, რომანტიკების გამოგონილი. სამხედრო წრეებისათვის საქმის საშოვნელათ, თუ ის გამომდინარეობს იაპონიის რეალური მდგომარეობიდან, მისი შინაური ეკონომიური ურთიერთობიდან და საზოგადოებრივი საჭიროებისაგან? ამ საკითხის გადასაჭრელათ საკმარისია მოიგონოთ იაპონიის მცხოვრებთა სიმჭიდროვე და მიწა-ადგილის რაოდენობა. აქ კვადრატ კილომეტრზე ცხოვრობს ორჯერ და სამჯერ მეტი, ვინემ რომელიმე სამრეწველო დიდ სახელმწიფოში. ოთხას ათას კვადრატ კილომეტრზე, რომლის ნახევარი უვარგისი მიწებია, ცხოვრობს 70 მილიონი მცხოვრებნი. ამ პატარა კუნძულებზე ამოდენა ხალხის თავის მოყრა, შეწუხებულნი ხშირი მიწის ძვრით, გაღატაკებული მიწის და სამუშაოს ნაკლებობით, ერეკება მათ სტიქიურათ, აუცილებლობით გადასახლების, ახალი ქვეყნებისაკენ. საითკენ? უპატრონო ქვეყანა დღეს აღარ არის. კლიმატიური მოსაზრებით მათთვის ერთი გზაა დარჩენილი—წყნარი ოკეანით ავსტრალიისაკენ. მაგრამ აქ მათ ხვდება ძლიერი პოლიტიკური ზღუდე—ინგლისი. კიდევ მეტი, აქ ამ გზას და მის კუნძულებს უდარაჯებს ჩრდილო ამერიკა. მისთვის იაპონელთა ჩამოთესლება ავსტრალიაში ნიშნავს მთელი ოკეანის და მისი გზების იაპონიის ხელში გადასვლას. ეს იმდენათ აშკარაა, რომ 1908 წ. იაპონია-ამერიკის კონფლიქტის დროს შეერთებული შტატების მთელი სამხედრო ფლოტი დაეწყო ავსტრალიის ნაპირებზე და განაცხადეს, თუ ინგლისი არ დაიცავს თავის კოლონიას—ჩვენ დავიცავთო. ამის შემდეგ ინგლისმაც ყურები აცქვიტა და იაპონიის წინააღმდეგ სინგაპურის სამხედრო ბაზა გაიჩინა. ამავე დროს მონროეს დოქტრინამ ყვითელ კანიანთ გზა შეუკრა სამხრეთ ამერიკის აუარებელ ცარიელ ადგილებისაკენ, სადაც თეთრ კანიანთ სიამოვნებით ასახლებენ.

ცხადია, იაპონიისათვის მეტათ ხელსაყრელი ავსტრალია და სამხრეთი ამერიკა მისთვის ხელმისაწვდომი არ არის, აქეთ გზა არის კლდიანი. აი ამ დროს იაპონიის აზროვნებამ პირი იბრუნა და წამოაყენა ახალი ლოზუნგი—აზია აზიელებისათვის! რომელ აზიაზეა ლაპარაკი? ჩინეთი მას დასასახლებლათ არ გამოადგება. მისი მოსახლეობის სიმჭიდროვე ცნობილია. ის მისთვის შეიძლება იყოს მხოლოდ ბაზარი, თავისი სამრეწველო ნაწარმოების გასასაღებლათ. დარჩა ერთათ-ერთი ცარიელი ადგილები ციმბირში, მონგოლიაში, თურქესტანში—საბჭოთა საბრძანებელში და მათ ირგვლივ. ეს ხაზი უსუსტესი სიმაგრით არის დაცული, მისი დიდი პატრონი—მოსკოვი—დაავათმყოფებულია და რა გასაკვირალია იაპონიის კვანძის გახსნა ამ მხრით მიიმართოს.

როგორც ხედავთ, იაპონიის დღევანდელი იმპერიალიზმი მომდინარეობს არა კაპიტალისტური განვითარებისაგან, არა ინდუსტრიალური აყვავებისაგან, თუმცა როლს ესეც თამაშობს, არამედ აგრარიული მდგომარეობიდან, მოსახლეობის და მიწის რაოდენობის ურთიერთობისაგან. ეს არის უმთავრესათ აგრარიული იმპერიალიზმი, ამიტომ მას მეთაურობენ არა კაპიტალისტები, არა ლიბერალები არამედ აგრარიები და მათგან გამოსული სამხედრო წრეები.

მაშასადამე, იაპონიის საფრთხე რუსეთისათვის სინამდვილეა, აშკარა ფაქტია და ამ ორი ქვეყნის შეხეთქება დროის და გარემოების საქმეა. როგორ ცდილობს მოსკოვი მას გაუმკლავდეს?

რამდენათ იაპონია ძლიერდება, იმდენათ საბჭოები დასავლეთისაკენ იხრებიან. მათი ძველი დევიზი—ბრძოლა დამპალ ევროპას, მშვიდობა აღორძინების გზაზე დამდგარ აზიას—შეიცვალა მოპირდაპირე დევიზით: მშვიდობა ევროპას, ბრძოლა აზიას. მაგრამ ეს მათი გაჭირების ხმა არ ეყურებოდა ევროპას, მას მნიშვნელობას არ აძლევდენ. ამ განმარტოვებისაგან მოსკოვი გამოიყვანა ჰიტლერმა. ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიამ იმდენათ დააშინა დასავლეთი, იმდენათ არივ დარია მისი დაწყობილი ურთიერთობა, რომ მან ფართე კარები გაუხსნა ლიტვინოვის მოციქულობას. რატომ ლიტვინოვმა აირჩია საფრანგეთის კოალიცია და არ შერჩა გერმანიას? ამის პასუხს იძლევა გერმანიის საგარეო მიდრეკილების განხილვა. ეს დიდი ქვეყანა და დიდი ერი წარმოადგენს ხიდს ევროპის დასავლეთის და აღმოსავლეთის შორის. ის მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა გვიან, როცა უკვე ყველა ქვეყანა განაწილებული იყო ძველ სახელმწიფოთა შორის. მისი აღორძინებული მრეწველობა, მისი მოჭარბებული მოსახლეობა ითხოვდა ახალ ბაზრებს, ახალ დასამუშავებელ ქვეყნებს. დასავლეთით მას გასაქანი არ ქონდა, იძულებული გახდა სუსტ აღმოსავლეთით პირი ებრუნა და იქ თავისი გავლენა გაებატონებია. ვილჰელმის გერმანიამ ისროლა ცნობილი ლოზუნგი—Drang nach Osten—გავიწიოთ აღმოსავლეთისაკენ. სლავიანთა ქვეყნები და ოსმალეთი გახდა გერმანელთა სამუშაო ასპარეზათ. მაგრამ აქ მათ შეეტაკა მეფეთა რუსეთის ინტერესი, რომელიც ამ ერებს თვლიდა თავის ყურმოჭრილ ყმებათ და არავითარ უცხო მოციქულობას არ ითმენდა. აი ამ გარემოებამ ალექსანდრე მესამე გადაისროლა საფრანგეთის მხარეზე. ფრანგები ამას ვერ მიხვდენ თავის დროზე და ეგონათ მილიარდების მიცემით რუსის გულს მოვინადირებთო. ნამდვილათ კი რუსეთის და გერმანიის გზების გაყრა აუცილებლობით ფუშავდა მათ კოალიციას და ამარცხებდა ბისმარკის რუსეთის სამეგობრო დიპლომატიას. ვერსალის ზავმა გერმანიას დაავიწყა ძველი ანტაგონიზმი რუსეთთან და რაპალოს პოლიტიკას მიეცა. გერმანია მოქცეული აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის, ვერც ერთი მხრით საგრძნობლათ წინ ვერ წაიწია, თავს დაატყდა უსაშინელესი სამრეწველო კრიზისი, უმუშევრობა, შუათანა კლასების განადგურება და როგორც შედეგი ჰიტლერიზმის მოვლინება. ახალი მთავრობა დამაგრდება იმდენათ რამდენათ გამოუნახავს გერმანიას გამოსავალს და დააკმაყოფილებს მის მომავლინებელ კლასებს. ყველამ იცის რომ ვერსალის ზავის რევიზია, რამდენათაც უნდა შეაბრუნ-შემოაბრუნოის, ვერავითარ რეალურ მალამოს გერმანიას ვერ დასდებს, გარდა პატრიოტული თავმოყვარეობის დაკმაყოფილებისა. ძველი ვილჰელმის დროის პრობლემა —დრანგ ნახ ოსტენ—როგორც საუკეთესო გამოსავალი დღეს ისევ აღდგა და დღის წეს-რიგში დაისვა. ოსმალეთი დაპატარავდა და არავითარი სახარბიელო ასპარეზია, სლავიანები გაძლიერდენ, ახალი სახელმწიფოების დაარსებით, მათი კავშირით და საფრანგეთის მფარველობით. დარჩა ერთათ-ერთი რუსეთი, რომლის შესახებ გუგენბერგმა უადგილოთ დაფარული ზრახვები წამოისროლა. გერმანია-რუსეთის სასიცოცხლო გზი ძველებურათ გაიყო და რა გასაკვირალია მოსკოვი და ლიმიტროფები ერთნაირ შიშს განიცდიდენ. ერთი ცხადია, ჰიტლერის გერმანია გაბატონდება ევროპაში იმდენათ, რამდენათ ის გაბატონდება რუსეთზე. ასეთ იარაღათ რომ კომუნისტური რუსეთი მას არ გამოადგება ცხადია. ჰიტლერის საკოლონიზაციო ზრახვებმა დიდათ აღაშფოთა ბოლშევიკები. მაგრამ ამ სფეროში ჰიტლერს არაფერი ახალი არ უთქვამს; ის ადგება ძველის-ძველ გზას, როცა პრუსია მშვიდობიანათ და მოლაპარაკებით ასახლებდა გერმანელთ რუსეთის ტერიტორიაზე (ვოლგის ნაპირები, კავკასია და სხ.). ბოლშევიკურ რუსეთში ამ ხაზის გაგრძელება შეუძლებელია. არა იმიტომ, რომ კრემლი არ მიიღებს ახალ მოსახლეთ, არამედ იმიტომ რომ არც ერთი გერმანელი არ დასთანხმდება გახდეს საგანი კომუნისტური ექსპერიმენტის; პირიქით, იქ მცხოვრებნი გერმანელები გამორბიან უკან, თავიანთ სამშობლოში. ასე რომ კომუნისტური რუსეთი ჰიტლერიზმის გზაზე ვერ თავსდება, ადრე თუ გვიან ისინი ერთმანეთს უნდა მოხვდენ. რა ფორმას მიიღებს ეს შეხვედრა, შინაურ გადატრიალების და რუსული რასიზმის მოსკოვში გაბატონების თუ გარედან გვერდიდან მის შემტევის—ეს არავინ იცის. და თუ ჩვენ ფაშიზმის მეთოდებს სახეში მივიღებთ—უნდა ველოდოთ პირველი ფორმის განხორციელების ცდას. რუსული რასიზმი კი იქნება სუდარა ყველა არარუსებისათვის, თუ ისინი ამ გადატეხის დროს მის ფარგლებში ჩარჩენ.

ამნაირათ, ჰიტლერიზმმა დააშინა ერთ და იმავე დროს დასავლეთი და აღმოსავლეთი და მოამზადა მათი დაახლოვება. დაიწყო პაქტების ეპოპეია; მოსკოვი და საფრანგეთი ერთათ ხელიხელ ჩაკიდებული იმიჯნებია გერმანიიდან და მას ქალტავენ ყოველი მხრიდან. კრემლი ჩადგა საფრანგეთის კოალიციაში, მიიღო გარკვეული საგარეო ორიენტაცია. ალექსანდრე მესამის პოლიტიკა აღდგა და სტალინის პოლიტიკათ განახლდა. კომინტერნი დასძლია რუსეთმა, კომუნისტური იდეოლოგია მეფობის იდეოლოგიამ. შეშინებული კრემლი მოკავშირეს ეძებს არა შიგნით, თავისივე ხალხის მომხრობით და მისთვის საამისო დათმობების მიცემით, არამედ გარეთ, ქალაღდების გოდოლით, სწორეთ ისე როგორც ამას სჩადიოდა ცარიზმი. რომანოვების მეთოდი მართველობისა გადაიქცა კომუნისტების მეთოდათ. მოსკოვი ჩაება ვერსალის იდეოლოგიაში, უკან იხევს მთელ ხაზზე მოკავშირეთა გულის მოსაგებათ და მას ასაბუთებს პაციფისტურათ «ვერსალის რევიზია ნიშნავს იმპერიალისტურ რევიზიას, რაიცა ნიშნავს ახალ ომს»-ო—სწერს ახლა რადეკი. წინეთ თუ მას ენატრებოდა ომი და არევ დარევა, ახლა ის გამოდის არსებული ურთიერთობის (სტატუსკვო) დამცველათ. ასე საარაკოთ დაიფშუტა ეს გაბერილი ბოლშევიკური გუდა და ხელში შეგვრჩა ძველი ნაცნობი საერთაშორისო ჟანდარმი.

ერთი სიტყვით, საბჭოთა საგარეო პოლიტიკა დღეს არის განმეორება მეფეთა საგარეო პოლიტიკის, იმავე მოწინააღმდეგებით და იმავე მეგობრებით, მაგრამ არა იმავე მატერიალური და საზოგადოებრივი შესაძლებლობით. ეს ორი ეპოქის ერთი და იგივე საგარეო პოლიტიკა დაყრდნობილია ორ სხვადასხვა საშინაო ბაზას. აქედან რა აუცილებელი შედეგი გამომდინარეობს როგორც თვით რუსეთისათვის, ისე მისი ახალი მოკავშირეებისთვის—ამაზე შემდეგ.

ბ. ქ.

მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის კონფერენცია

თითქმის ორი წელიწადია, რაც საფრანგეთის სოციალისტური სექცია მოითხოვდა ინტერნაციონალიდან, რომ მას დღის წესრიგში ძალაუფლების პრობლემა დაესვა. დაბოლოს გადაწყდა—ამ წლის გასული მარტისათვის მოეწვიათ ინტერნაციონალური კონფერენცია, სადაც დასმული იქნებოდა სამი მთავარი საკითხი: 1. ძალაუფლებისათვის ბრძოლის მეთოდები, 2. მუშათა კლასის მთლიანობა და 3. ომის წინააღმდეგ ბრძოლა.

მაგრამ გერმანიაში მომხდარ ამბებმა და იქ სოც.-დემოკრატიის დარბევამ დიდათ შესცვალა ინტერნაციონალის მდგომარეობა, რის გამოც განზრახულ დროისათვის კონფერენციის მოწვევა მიზანშეუწონელი შეიქნა და ის რამოდენიმე თვით გადაიდო. შემდეგ კონფერენციის გახსნის დღეთ 21 აგვისტო დაინიშნა და დღის წესრიგში მთავარ საკითხათ დაისვა—მუშათა მოძრაობის სტრატეგია და ტაქტიკა ფაშისტურ რეაქციის ხანაში. მაგრამ ამ მთავარ საკითხთან დაკავშირებით კონფერენციაზე მსჯელობა იქნებოდა აგრეთვე ზემოთ ჩამოთვლილ სამ კითხვაზეზედაც.

კონფერენციას უნდა ქონებოდა მხოლოთ ინფორმაციული ხასიათი და იქ არა რაიმე საბოლოო დადგენილებები და რეზოლიუციები გამოეტანათ, არამედ ყველას თავისუფლათ თავისი აზრი გამოეთქვა დღევანდელ მდგომარეობის შესახებ, ესა თუ ის პრობლემები წამოეყენებია და, ამნაირათ, მომავალი კონგრესისათვის მოსამზადებელი მუშაობა გაეწიათ. ამით აიხსნება ის, რომ ინტერნაციონალის ეკზეკუტივს და მის ბიუროს კონფერენციაზე ოფიციალური მომხსენებელი არ ყოფილა.

კონფერენცია გაიხსნა ინტერნაციონალის მდივნის—ადლერის და თავმჯდომარის—ვანდერველდეს შესავალი სიტყვებით. ორივე ორატორი აცხადებდა, რომ მათი სიტყვები იყო არა ოფიციალური, არამედ პირადული ხასიათისა, რომ ისინი გამოსთქვამენ მხოლოთ თავიანთ საკუთარ შეხედულებებს.

ადლერი უმთავრესათ შეეხო გერმანიაში მომხდარ ამბებს და აუცილებელ საჭიროებათ სთვლიდა ინტერნაციონალს ქონოდა შეთანხმებული სამოქმედო პროგრამა ამ ფაშისტურ რეაქციის ხანაში. სხვადასხვა ქვეყნებში დღეს პირობები და მდგომარეობა სხვადასხვანაირია, ამიტომ იქ ყველგან მუშათა მოძრაობის სტრატეგია და ტაქტიკა ვერ იქნება ერთნაირიო.

ზოგ ქვეყნებში ეხლა ფაშიზმია გაბატონებული, ზოგან კი დემოკრატია დარჩა ურყევი და ამის მიხედვით უნდა გამოვიმუშავოთ ბრძოლის შესაფერი მეთოდები, უნდა ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ, რა საშუალებით ჩავიგდოთ ხელში ძალაუფლება სხვა და სხვა ქვეყნებშიო.

ადლერის აზრით ძალაუფლების დასაპყრობათ არსებობს არა ერთი, არამედ რამდენიმე გზა. ის დიდ შეცდომათ აღიარებდა იმის მტკიცებას, ვითომც ძალაუფლების მოპოვება შეუძლებელი იყოს დემოკრატიული მეთოდებით და მიუღებლათ სთვლიდა აგრეთვე იმ შეხედულებას, რომ მხოლოთ დემოკრატიული გზა არგუნებს პროლეტარიატს გამარჯვებას. ადლერი ამტკიცებდა, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში ყველა საშვალებებით უნდა იქნას დაცული დემოკრატია თავდასხმისაგან, ფაშისტურ ქვეყნებში კი რევოლიუციურ საშუალებებს უნდა მივმართოთო.

ვანდერველდე სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობას მხოლოთ დემოკრატიის გზით სთვლის. დემოკრატია არის ხალხის მართველობა ხალხის საშუალებით და ხალხისათვის. დღევანდელი დემოკრატია არა მხოლოთ წინანდელი ბურჟუაზიული რევოლიუციების შედეგია, არამედ მის მოპოვებაში დიდი წილი მებრძოლ პროლეტარიატსაც უძევს. ამიტომ დემოკრატია პროლეტარიატმა მთელი მისი არსებით და ძალღონით უნდა დაიცვასო.

ზოგი ბელგიელი ამხანაგი ფიქრობს, ამბობდა ვანდერველდე, რომ აჯანყებით ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოგვცემს საშუალებას პროლეტარიატის დიქტატურა დავამყაროთ. მაგრამ ასეთი რამ იქნებოდა მხოლოთ უმცირესობის დიქტატურა და ამის მაგალითი უკვე გვაქვს რუსეთში. იქ ბოლშევიკებმა დაამყარეს უმცირესობის დიქტატურა და მოინდომეს ერთ ქვეყანაში განეხორციელებიათ სოციალიზმი. სინამდვილეში კი ჩვენ ვხედავთ სრულ ეტატიზმს, რომელმაც მოსპო ყოველივე დემოკრატია და თავისუფლება. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარება შეუძლებელია, ის ინტერნაციონალური მაშტაბით უნდა იქნას განხორციელებულიო.

რენოდელმა ილაპარაკა იტალიის, გერმანიის და ცენტრალური ევროპის ფაშიზმზე და იმ საშიშროებაზე, რომელსაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს სხვა ქვეყნებისათვის. იგი მოითხოვდა დემოკრატიის ყოველგან ენერგიულათ დაცვას და მისთვის ბრძოლას. ყველა ქვეყნები მან დაყო სამ კატეგორიათ: 1) ქვეყნები, სადაც თავისუფლება არც წინეთ არსებობდა, იქ ის მოპოვებულ უნდა იქნას, 2) სადაც თავისუფლება მოსპობილ იქნა, იქ ის აღდგენილ უნდა იქნას და 3) ქვეყნები, სადაც თავისუფლება არსებობს, იქ ის შენარჩუნებულ უნდა იქნასო.

იმ ქვეყნებში, სადაც დღეს აბსოლიუტიზმი და ფაშისტური რეჟიმია გაბატონებული და თავისუფლება არ არსებობს, რენოდელის აზრით, არალეგალური ბრძოლა აუცილებელია და თავისუფლების აღსადგენათ მუშათა კლასმა უნდა მიმართოს ძალას. დემოკრატიულ ქვეყნებში კი დემოკრატიამ თავი უნდა დაიცვას მხოლოთ დემოკრატიული საშუალებებით, როგორც, მაგალითად, საყოველთაო არჩევნები, პარლამენტარული უმრავლესობა, ფართე რეფორმებისთვის ბრძოლა და სხვა. რენოდელი კატეგორიული წინააღმდეგია იმის, რომ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიამ მიზნათ დაისახოს მთელი ძალაუფლების ხელში დაუყონებლივ ჩაგდება. ის მომხრეა სხვა მემარცხნე პარტიებთან თანამშრომლობის და მათთან მთავრობაში მონაწილეობის მიღებისა. რენოდელი ხაზს უსვამდა იმას, რომ სოციალიზმი ამ დროებით შესუსტებულია ევროპაში და ის უფრო ნაციონალურ ჩარჩოებში მოემწყვდა და შეიკუმშაო. ის საკმარისათ არ სთვლის, რომ სოციალისტური პარტია მხოლოთ მუშათა კლასის შეკავშირებით კმაყოფილდებოდეს. მისი აზრით აუცილებელია, რომ სოციალისტებმა ეხლა საშუალო კლასებს მეტი ყურადღება მიაქციონ, ისინი მოიმხრონ და პროლეტარიატთან ერთათ ამ კლასებზედაც დაეყრდნონ; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კლასები ჩვენ მოწინააღმდეგების მახეში გაებმიან და ჩვენი მტრები გახდებიანო ფრანგებიდან რენოდელის პოზიციას იცავდენ კონფერენციაზე მისი თანამოაზრენი—გრუმბახი და მარკე. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კრებაზე, როგორც სიტყვის ფორმით, ისე თავისი პიროვნული სიძლიერით.

დოლტონი—ინგლისის მუშათა პარტიის წარმომადგენელი და უთუოთ მისი მომავალი ლიდერი არ იზიარებდა ზოგიერთების შეხედულებას, რომ სოციალიზმი ევროპაში დღეს ვითომ განიცდიდეს დიდ კრიზისს. ის ამტკიცებდა, რომ გერმანიის სოც.-დემოკრატიის დამარცხება არის ლოკალური მოვლენა და არა გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ ასევე მოხდება ყველა სხვა ქვეყნებშიდაცო. ამის დასასაბუთებლათ მას მოყავდა სოციალიზმის ზრდის და განვითარების ფაქტები დღეს შვეციაში, დანიაში, გოლანდიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, ისპანიაში და აღნიშნავდა აგრეთვე ფაშიზმის დამარცხებას ფინლიანდიაში.

ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებათ დოლტონი სთვლიდა ყველა ქვეყნების პროფესიონალურ კავშირების, კოოპერატივების და მუშათა პოლიტიკური პარტიების მიერ ამ რეჟიმის მორალურ და მატერიალურ ბოიკოტს. ის მოითხოვდა აგრეთვე, რომ სოციალისტურ პარტიებს გავლენა მოეხდინა თავიანთ მთავრობებზე, რათა ამ უკანასკნელთ საკითხი გერმანიის ფარულათ შეიარაღების და ამ უკანასკნელის მიერ ავსტრიის წინააღმდეგ წარმოებულ ინტრიგების შესახებ ერთა ლიგაში ან ჰააგის ტრიბუნალში დაეყენებიათ.

ლეონ ბლიუმი ანალიზს უკეთებდა დღევანდელ საერთაშორისო ეკონომიურ კრიზისს და დაასკვნიდა, რომ ფაშისტურ მოძრაობის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლა მით უფრო იქნება ნაყოფიერი, რამდენათ შესაძლებელი გახდება არსებული კრიზისის დაძლევა და გადალახვაო. ბლიუმი უპასუხებს რენოდელს საშუალო კლასების პრობლემის შესახებ და ამბობს, რომ სოციალისტები ყურადღებას აქცევენ საშუალო კლასებს და ცდილობენ ამ კრიზისის ხანაში გაკოტრებული საშუალო ელემენტები მოიმხრონ და სოციალიზმის მხარეზე გადმოიყვანონ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ დავეყრდნოთ ამ კლასებს და ისინი თვისებითათ პროლეტარიატს გაუთანაბროთო.

ბლიუმმა ხაზი გაუსვა განსხვავებას ბურჟუაზიულ და სოციალისტურ დემოკრატიის შორის და დასძინა:

— ჩვენი მიზანია ძალაუფლების დაპყრობა და დღევანდელი საზოგადოების სოციალისტურათ გარდაქმნა, მაგრამ საუბედუროთ ამას ეხლა საერთაშორისო მდგომარეობა ხელს არ უწყობსო.

ბლიუმის აზრით შესაძლებელია ფრანგ სოციალისტებს მოუხდეთ მთავრობაში შესვლა, რომ ამით აცილებულ იქნას ფაშისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება, მაგრამ არავითარი ილიუზია არ უნდა არსებობდეს იმის შესახებ, რომ ვითომც ეს ნიშნავდეს სოციალიზმის თუგინდ ნაწილობრივ განხორციელებას.

თუ ნაციონალური და ინტერნაციონალური მდგომარეობა კი გვაიძულებს მთელი ძალაუფლება ხელში ავიღოთ, ეს არ იქნებოდა კაპიტალიზმს და სოციალიზმს შორის შუათანა ფორმების ცხოვრებაში გატარების მიზნით, არამედ კაპიტალიზმის დასანგრევათ და მის ადგილას სოციალიზმის ასაშენებლათ. სოციალიზმმა უნდა შეინახოს შეურიგებელი ხასიათიო.

ველსი—გერმანიის სოც. დემოკრატიის წარმომადგენელი უფრო თავს იცავდა და უპასუხებდა იმ ამხანაგებს, რომელნიც კონფერენციის სხდომებზე აკრიტიკებდენ გერმანიის პარტიის ტაქტიკას, ვიდრე ლაპარაკობდა დღის წესრიგში დასმულ საკითხებზე.

იმ ფაქტს, რომ გერმანიის რევოლიუციას 1918 წელში ქონდა უფრო პოლიტიკური ხასიათი და ფართე სოციალური რეფორმების მხრივ ის ვერ იქნა დასრულებული, ველსი უმთავრესათ ხსნიდა იმ დროს მუშათა კლასის მოღლილობით და მისი ძალების დაქსაქსულობით, რაშიდაც უდიდესი დანაშაული კომუნისტებს მიუძღვისო. რევოლიუციის გაღრმავებას საშიშროება მოელოდა აგრეთვე მოკავშირეების მხრივ, რომლებიც მოითხოვდენ ჩვენგან რეპარაციების საკითხების მოგვარებას და, თუ ამას გვერდს ავუხვევდით, შესაძლებელი იყო მათი ჩვენ შინაურ საქმეებში ჩამორევაო. კოალიციონური მთავრობების არსებობას და ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობას გერმანიაში ის ამართლებდა განსაკუთრებით ფაშისტური საფრთხის არსებობით. 1932 წლის ივლისში გერმანიის სოც.-დემოკრატიის კაპიტულიაციას და ბრაუნ-სევერინგის პრუსიის მთავრობის მიერ ასე ადვილათ ძალაუფლების დათმობას კი ასაბუთებდა მით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა პარტიის ყოველმხრივი იზოლიაცია და მისი სასტიკი დამარცხებაო.

ველსი აღშფოთებით და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კომუნისტები დღეს გერმანიაში ათასნაირ პროვაკატორულ საქმეებს ჩადიან: აქვეყნებენ თავიანთ გაზეთებში და ასმენენ აგრეთვე პოლიციას არალეგალურათ მომუშავე ჩვენი ამხანაგების სახელს და გვარს და ბევრი სხვა ასეთებიო.

ვინტერი (ჩეხოსლოვაკია), ფოგტი (შვეცია), ანდერსენი (დანია), კორდერო (ისპანია), ნედზიალკოვსკი (პოლონეთი) მოითხოვდენ დემოკრატიის დაცვას და ფაშიზმის წინააღმდეგ ენერგიულ ბრძოლას; მათის აზრით მთავრობაში მონაწილეობის მიღება დღეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

აბრამოვიჩი უმთავრესათ ეხებოდა გერმანიაში მომხდარ ამბებს; საშუალო კლასების საკითხში ის ბლიუმს ემხრობოდა. რუს სოციალისტ-რევოლიუციონერთა წარმომადგენელი—სუხომლინი კი სავსებით რენოდელის პოზიციას იზიარებდა.

საქ. სოც.-დემ. წარმომადგენლის—ამხ. კ. გვარჯალაძის სრული სიტყვა ქვემოთ არის მოყვანილი.

კონფერენციაზე იყო 12 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც თავის თავს მემარცხნეს უწოდებდა. ამ ჯგუფს ეკუთვნიან: ერლიხი, ალტერი (პოლონელი ბუნდოელები), ბიანკო, ბოკონი, ნენი (იტალია), ფელიქსი, კრიუგერი, ლევინსონი, სენიორი (ამერიკა), ზირომსკი, პივერი (საფრანგეთი), სპააკი (ბელგია), ეს ბოლშევიზანები, აფასებენ რა დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობას, ასკვნიდენ: პროლეტარიატმა თავის მიმდინარე ბრძოლის მიზნათ სოციალიზმის განხორციელება უნდა დაისახოს და რა გზითაც მან ძალა-უფლება ხელში არ ჩაიგდოს, ეს უკანასკნელი დაუყონებლივ გამოიყენოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს დასანგრევათ და თავისი დიქტატურის დასამყარებლათო. ესენი პრინციპიალური წინააღმდეგნი არიან ბურჟუაზიულ მთავრობებში მონაწილეობის მიღებისა.

მუშათა კლასის მთლიანობის საკითხში ეს ბოლშევიზანები მოითხოვენ მეორე და მესამე ინტერნაციონალის შორის დაუყონებლივ მოლაპარაკების გამართვას, მათი საერთო კონფერენციის მოწვევას და საერთო სამოქმედო ხაზის გამომუშავებას. ამ ორი ინტერნაციონალის შორის მოლაპარაკებას, გარდა ამ მემარცხნეებისა, მხარს უჭერდენ აგრეთვე ადლერი და ბლიუმი.

ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონფერენციის პლენარულ სხდომაზე ილაპარაკეს დოლტონმა, რენოდელმა და ბლიუმმა. უმთავრესათ კი ამ კითხვის გამო კამათი იყო პოლიტიკურ კომისიაში, რომელმაც კონფერენციას შესაფერი რეზოლიუცია წარუდგინა.

კონფერენციის მიერ მიღებული მთავარი რეზოლიუცია—მუშათა მოძრაობის სტრატეგია და ტაქტიკა ფაშისტურ რეაქციის ხანაში—არის კომპრომისული და კონფერენციაზე წამოყენებულ ყველა საკითხებში გამოხატავს დელეგატების დიდი უმრავლესობის შეხედულებას. ამ რეზოლიუციამ მიიღო 291 ხმა, 18-ის წინააღმდეგ. 5 დელეგატმა თავი შეიკავა, მათ შორის ქართველ დელეგატებმაც.

მუშათა კლასის მთლიანობის შესახებ ამ რეზოლიუციაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ის უარს ყოფს კომუნისტების ერთი ფრონტის მანიოვრებს, რომელიც პროლეტარიატს კი არ აერთიანებს, არამედ მას კიდევ უფრო არღვევს და ქსაქსავს. კონფერენცია ამავე დროს ამბობს,—და ყველა გულწრფელი სოციალისტი ასევე იტყვის—რომ არავითარი შრომა არ დავზოგოთ მუშათა კლასის გაფანტული ძალების გასაერთიანებლათო. მართალია, რეზოლიუციაში არ არის არც ერთი მუხლი, რომელიც ჩვენთვის მიუღებელი იყოს, მართალია ისიც, რომ კონფერენციამ რეზოლიუციაში არ შეიტანა და არ დაადასტურა ეკზეკუტივის მიერ წინეთ გადადგმული ნაბიჯები მესამე ინტერნაციონალთან მოლაპარაკების შესახებ, მაგრამ, რადგანაც კომუნისტებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და ბოლშევიკების ტაქტიკის მავნებელი მხარეები რეზოლიუციაში კატეგორიული ფორმით არ არის აღნიშნული, ჩვენმა დელეგატებმა უფრო მიზანშეწონილათ ცნეს ხმის მიცემისაგან თავი შეეკავებინათ.

კონფერენციაზე საქ. სოც.-დემოკრატიას წარმოადგენდენ: ამხ. ევ. გეგეჭკორი, ამხ. დ. შარაშიძე და ამხ. კ. გვარჯალაძე.

ა. ბ.

ამხ. კ. გვარჯალაძის სიტყვა მუშათა სოციალისტურ კონფერენციაზე.

ამ 19 წლის წინეთ კრიზისი მუშათა სოციალისტურ მოძრაობაში დიდი ომით დაიწყო, როცა მეომარ ქვეყნების მუშათა პარტიები ერთმანეთს დასცილდენ და ინტერნაციონალი, როგორც მუშათა საერთაშორისო ხელმძღვანელი ორგანო, დაიშალა და მისი მოქმედება დროებით შეწყდა.

დიდი ომი გათავდა, მალე სოციალისტური ინტერნაციონალიც აღდგა და მან მოქმედება დაიწყო, მაგრამ სამწუხაროთ ევროპის სოციალისტური მუშათა მოძრაობას მეორე მრღვეველი სენი გაუჩნდა. ეს სენი იყო ბოლშევიზმი.

ბოლშევიზმი რუსეთში გრძელდებოდა. მისი დიქტატურა რუსეთის გლეხებზე, მუშებზე და იქ მობინადრე ყველა უცხო ერებზე თანდათან მაგრდებოდა და უფრო მკაცრ ფორმებს იღებდა. ბოლშევიკებმა რუსეთში აღკვეთეს ყველა სხვა პარტიების არსებობა, თავის თავი ერთათ ერთ სახელმწიფო პარტიათ გამოაცხადეს. მართველობის ყველა სფერო ხელთ იგდეს და მთელ ბიუროკრატიულ აპარატს დაეპატრონენ. კომუნისტების დიქტატურა გამეფდა არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ისინი ლამობდენ ეს მათი დიქტატურა ევროპის ფარგლებშიაც გადაეტანათ, იქ თავიანთი მეთოდები გაებატონებიათ და საერთაშორისო მუშათა მოძრაობას სათავეში მოქცეოდენ. ამ მიზნით რუსი ბოლშევიკები შეუდგენ ევროპის სოციალისტურ პარტიების რღვევას და განხეთქილებას და მათ გვერდით კომუნისტური სექციების დაარსებას. ბოლშევიკებმა თავიანთ ბრძოლის მეთოდები რუსეთიდან ევროპაში გადაიტანეს: სოციალისტური პარტიების წინააღმდეგ მათ ინსინუაციებს, დემაგოგიას და ტყუილს საზღვარი არ ქონდა. მთავარ მტრათ სოციალისტები იქნა გამოცხადებული და მთავარი ბრძოლაც კომუნისტებმა სოციალდემოკრატიას გაუმართეს. ეხლა ფაქტია და არავისათვის სადავო არ უნდა იყოს ის, რომ კომუნისტებმა სოციალისტების წინააღმდეგ დაუნდობელი და შეურიგებელი ბრძოლით დიდათ შეუწყვეს ხელი ფაშიზმის გამარჯვებას იტალიაში და გერმანიაში.

სოციალისტური ინტერნაციონალის ცალკე სექციები ცდილობდენ კომუნისტების თავდასხმებიდან და მათი ინსინუაციებიდან თავი დაეცვათ, მაგრამ ცხადია ის, რომ კომუნისტების დემაგოგიას მუშათა მასებში მაინც ქონდა გასავალი, ბრძოლის უსინიდისო მეთოდებით ისინი ცდილობდენ სოციალისტურ პარტიებისთვის სახელი გაეტეხათ და მათ წინააღმდეგ მუშები აემხედრებიათ.

რას შვრებოდა ამ დროს სოც. ინტერნაციონალი, სოციალისტურ სექციათა ეს მთავარი შტაბი და ხელმძღვანელი?

იმის მაგივრათ, რომ სოც. ინტერნაციონალი ბოლშევიკების და სოციალისტების შორის ბრძოლის დროს გვერდში ამოსდგომოდა სოციალისტურ პარტიებს და საჯაროთ ემხილა კომუნისტები და მათ უკან მდგომი კომინტერნი—მოსკოვის ნამდვილი ვინაობა და ბრძოლის მეთოდები და მათ წინააღმდეგ მიემართა ევროპის მუშათა კლასის საზოგადოებრივი აზრი, ის შემთხვევას არ უშვებდა, რომ საბჭოთა რუსეთისათვის საერთაშორისო ასპარეზზე მხარი დაეჭირა და ის მორალურათ გაემაგრებია. ხდებოდა რაღაც პარადოქსალური რამ: კომუნისტები მოსკოვის წაქეზებით, მატერიალური დახმარებით და ხელმძღვანელობით სოციალისტურ პარტიებს ებრძოდენ და ანგრევდენ, ამავე დროს კი სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელი ორგანო—ინტერნაციონალი ხშირათ მოსკოვს უდგებოდა გვერდში, მას მორალურათ ეხმარებოდა და მით მას ევროპის მუშათა წრეებში პოპულიარულათ ხდიდა. ინტერნაციონალის ასეთი ტაქტიკა ბოლშევიკების მიმართ, რასაკვირველია, ხელს ვერ შეუწყობდა სოციალისტურ პარტიების კომუნისტებთან ბრძოლას და მათ მიმდევართა რიცხვს ვერ გაამრავლებდა.

არა ნაკლები ზიანი მიაყენა ევროპის მუშათა მოძრაობას იმ იდეოლოგიურმა კრიზისმა, რომელმაც თავი იჩინა სოციალისტთა შორის, განსაკუთრებით, დიდი ომიდან დაწყებული და რომელიც დღემდის გრძელდება.

დიდი ომის წინ სოციალისტების დიდი უმრავლესობისათვის სოციალიზმი და ეტატიზმი ორი სულ სხვადასხვა მცნება იყო და მათ შორის საზღვარი ნათლათ იყო გავლებული. კერძო მონოპოლიების და წარმოებების სახელმწიფოს ხელში მოგროვებას და მით სახელმწიფოს ყოვლის შემძლებელათ გახდომას სოციალიზმთან არაფერი საერთო ქონდა. სოციალიზმის მიზანი იყო არა სახელმწიფოს გამაგრება, არა სახელმწიფო დაყრდნობილი ძალაუფლებაზე და ადამიანთა გამგებლობაზე, არამედ სწორეთ ასეთი სახელმწიფოს მოსპობა და საწარმოვო ძალთა სოციალიზაციით დღევანდელი საზოგადოების ერთ დიდ ეკონომიურ კოოპერატივათ გადაქცევა. ხოლო ამისათვის წინასწარ საჭირო იყო პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

რადგანაც ეტატიზმი აძლიერებს გაბატონებულ კლასებს, რომელთა ხელშია დღეს სახელმწიფო, და უადვილებს მათ მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევაზე გადმოსვლას, სახელმწიფოს ფუნქციები და ორგანოები რომ კიდევ უფრო არ გაზდილიყო და გაძლიერებულიყო, სოციალისტები დიდი ომის წინ, განსაკუთრებით საფრანგეთში, ეწინააღმდეგებოდენ კერძო მონოპოლიების ნაციონალიზაციას. ომის შემდეგ კი სოციალისტურ პარტიებმა, განსაკუთრებით დემოკრატიულ ქვეყნებში, აზრი შეიცვალეს. ისინი ეხლა აღარ თხოულობენ, როგორც ამას წინეთ ქონდა ადგილი, რომ წინასწარ პროლეტარიატმა პოლიტიკური ძალაუფლება ხელში ჩაიგდოს და მხოლოთ ამის შემდეგ შეუდგენ კერძო მონოპოლიების ნაციონალიზაციას. თუ წინეთ სოციალიზმი ემიჯნებოდა და უპირდაპირდებოდა ეტატიზმს, დღეს ეს ასე აღარ არის. წინააღმდეგ, დემოკრატიული სოციალიზმი გარკვეულათ შესდგა სახელმწიფო სოციალიზმის გზაზე. ეტატიზმი სოციალიზმის პირველ საფეხურათ და წინაკარებათ იქნა გამოცხადებული. მაგრამ დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ეტატიზმი ფაშისტურ რეაქციას მკვიდრ ნიადაგს უმზადებს, და, ვფიქრობ, უკანასკნელი მძიმე მოვლენები საკმაო გაკვეთილია, რომ სოციალისტურ პარტიებმა თავი გაანებონ ეტატიურ პოლიტიკას, რომელიც რეაქციას ხელს უწყობს და უადვილებს მას დემოკრატიის დამარცხებას.

მაგრამ არ კმარა ჩვენ გავემიჯნოთ მხოლოთ კაპიტალისტურ რეაქციას და დავიცვათ დემოკრატია იმ საშიშროებიდან, რომელიც მას მარჯვნიდან ემუქრება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა ნაკლებ საჭიროა დავიცვათ დემოკრატია მეორეს მხრივ, და თავიდან ავაცილოთ მას ბოლშევიზმის საშიშროებაც. თვით სოციალიზმის ბრძოლა დემოკრატიის დასაცავათ ფაშისტურ რეაქციის წინააღმდეგ დიდათ ფერხდება, როცა ამტკიცებენ, რომ ზოგ ქვეყნებს შეუძლია დემოკრატიის გვერდის ახვევით მიაღწიოს სოციალიზმს უმცირესობის დიქტატურის და ტერორისტულ რეჟიმის საშუალებით. ამხანაგი ადლერი სრულიათ სამართლიანათ გვეუბნებოდა აქ ჩვენ, რომ გერმანიის კატასტროფის ძირითადი მიზეზი უნდა ვეძიოთ არა იმდენათ გერმანიის სოციალდემოკრატიის ტაქტიკურ შეცდომებში, რამდენათ უმთავრესათ იმაში, რომ გერმანიის მუშათა კლასი წლების განმავლობაში დაქსაქსული და დაყოფილი იყო სხვა და სხვა ჯგუფებათ, მოსკოვის ცდით და საშუალებით, მიუმატებდი მე. და განა ყველგან, სადაც კი დღემდის ფაშისტურ დიქტატურას გაუმარჯვნია, ასეთივე მოვლენას არ აქვს ადგილი? მაშ, როგორ ხდება ის, რომ ხშირად მოსკოვს—მუშათა მთლიანობის მრღვეველს, ნაციონალური და ინტერნაციონალური ძალების დამქსაქსველს, სოციალიზმის აღმშენებლის როლს აკუთვნებენ? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინტერნაციონალმა თავი უნდა გაანებოს ასეთ გაურკვევლობას, ენერგიულათ გაიმიჯნოს მოსკოვის მეთოდებისაგან და ჩვენ მასწავლებელ კარლ კაუცკისთან ერთათ გადაჭრით დაადგეს იმ აზრს, რომ სოციალიზმის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული გზით და უმცირესობის ყოველგვარი დიქტატურის უკუგდებით. სანამ ეს ასე არ მოხდება, სანამ სოციალისტური ინტერნაციონალი გარკვეულ ხაზს არ აიღებს მოსკოვის წინააღმდეგ, მანამ შეუძლებელი იქნება თვალსაჩინო შედეგებით ვებრძოლოთ კაპიტალისტურ რეაქციას.

ჩვენი დასკვნებია:

1. ბოლშევიკებმა სოციალისტური პარტიები თავიანთ მთავარ მტრათ გამოაცხადეს და მათ სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა გაუმართეს. ამის შედეგი იყო, რომ ევროპის მუშათა მოძრაობა ძალზე დასუსტდა და დაიქსაქსა. ზოგ ქვეყნებში ფაშისტების გამარჯვებას კომუნისტების ტაქტიკამ დიდათ შეუწყო ხელი და დახმარება გაუწია. სანამ რუსეთში გრძელდება ბოლშევიკური რეჟიმი და მოსკოვი ევროპის კომუნისტურ პარტიებს ხელმძღვანელობს, მათი ტაქტიკის შეცვლაზე და მათთან საერთო ფრონტზე ფიქრიც დიდი ილლუზიაა.

2. ეტატიზმს და საბჭოთა ეკონომიკას არავითარი კავშირი არ აქვს მარქსიზმთან და მეცნიერულ სოციალიზმთან. ეს ნათლათ უნდა აღიაროს ინტერნაციონალმა და მათგან გადაჭრით გაიმიჯნოს.

3. მუშათა კლასის მთლიანობა, სოციალისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიების წარმატება და ინტერნაციონალის ხელმძღვანელობის ქვეშ მათი დარაზმვა დიდათ დამოკიდებულია იმ მეთოდებისაგან, რომლითაც ჩვენ ვისარგებლებთ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ ბრძოლის დროს.

ნამდვილი და ბრძოლისაკენ მიმმართველი მეთოდები სოციალიზმს ექნება მხოლოთ მაშინ, თუ თვითონ ის, როგორც დოქტრინის, ისე ტაქტიკის მხრივ, ცხოვრებაში გასატარებლათ ისარგებლებს ზოგი თავისი ძველი შეხედულებებით და თუ თავის მოქმედების ბაზათ გაიხდის დებულებას: დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ. მხოლოთ ამ პოზიციების დაცვით ყოველგვარ თავდასხმისაგან, საიდანაც ის არ მოდიოდეს. მას შეეძლება ისარგებლოს დღევანდელ დრამატიულ მოვლენების გაკვეთილით და მუშათა კლასი მიიყვანოს გამარჯვებამდე.

საქ. სოც.-დემოკრატიის მემორანდუმი

(სოც. ინტერნაციონალის კონფერენციისათვის)

ეკონომიურ ძალთა ახალმა გადანაწილებამ ერთა შორის, გამოწვეულმა აგრარული ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებით და აქედან წამომდგარ დასავლეთ ევროპის სამრეწველო გეგემონიის დაკარგვამ, ერთი მხრით და ტეხნიკურმა პროგრესმა მექანიზაციის და რაციონალიზაციის განვითარებით მეორე მხრით გაამკაცრა კაპიტალიზმის თანდაყოლილი წინააღმდეგობა სოციალურათ წარმოებას და ინდივიდუალურათ მითვისებას შორის და დაბადა გაუგონარი მსოფლიო ეკონომიური კრიზისი.

კაპიტალიზმის გადასარჩენათ ბურჟუაზია იძულებული გახდა უარი ეთქვა თავისუფალ კონკურენციაზე, ურთიერთ შორის ეკონომიურ მეტოქეობაზე და შექმნა გეგმიანი ეკონომიკის საშუალებით საერთო ფრონტი მომხმარებელთა წინაშე.

გეგმიანი ეკონომიკა გზას იკვლევს ორი ფორმით: ა. კერძო საწარმოვო დარგთა შეერთება და ახალ საწარმოვო კომბინაციების შექმნაში ნაციონალურ და ინტერნაციონალურ მასშტაბში; ბ. სახელმწიფო მეურნეობის გადიდებასა და გავრცელებაში.

ეს კერძო და სახელმწიფო მონოპოლიები დარაზმულათ გამოდიან ბაზარზე და აწესებენ თავის საქონელზე ფასებს გარეშე ეკონომიური კანონებისა.

ეს გეგმიანი ეკონომიკა სოციალიზმმა მიიღო თავის ლოზუნგის განხორციელებათ, ხოლო სახელმწიფო მეურნეობა—ეტატიზმი—სოციალიზმის წინა კარებათ.

სოციალიზმი შედგა ეტატიზმის ხაზზე ორი გარემოების გავლენით: დიდი ომის დროს წარმოებული «იძულებითი სახელმწიფო მეურნეობის» და რუსეთის საბჭოთა ეკონომიკის.

ამით სოციალიზმმა გაიზიარა ბურჟუაზიული დემოკრატიის სოციალური პროგრამმა, რაც არაერთხელ იყო გამოცხადებული რადიკალების მიერ საფრანგეთში ომამდე.

აქედან ბუნებრივათ განვითარდა ტაქტიკა კოალიციების, ბლოკების, ურთიერთის მხარის დაჭერის სოციალისტურ და მოწინავე ბურჟუაზიულ პარტიებს შორის. საერთო სოციალურმა ნიადაგმა მოითხოვა საერთო პოლიტიკური მუშაობა.

ეტატისტები თანაგრძნობით შეხვდენ მოსკოვის ეტატიურ «ცდას» და შესტოპეს ბოლშევიზანობაში.

ეტატიზმი, სახელმწიფოს ქონებრივი სუპრემაცია ერში, აძლიერებს ბუნებრივათ გაბატონებულ კლასებს, რომელთა ხელში თვით სახელმწიფოა და ამზადებს მათ შეტევაზე გადმოსასვლელათ.

ამ გზით ინერგება ხალხში ილიუზია, ვითომ მისი მძიმე სატკივარი ეტატიზმით განიკურნება და როცა ეს არ სრულდება, სენი ისევ მძვინვარებს, ამას აბრალებენ არა თვით პრინციპს, არამედ გაბატონებულ ეტატისტებს, რომელთა გამოცვლით, ერთი ეტატიური პარტიის ალაგას მეორის დაყენებით, სატკივარი განიკურნებაო.

ეტატიზმი ვითარდება დემოკრატიის ჩარჩოში, მაგრამ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. მისი შინაგანი სიდუხჭირე ადუხჭირებს თვით ამ ჩარჩოს, უკარგავს მას ყოველივ ღირებულებას, ხეთქს მას და პოულობს თავის შესაფერ ფორმას, ეს ფორმაა დესპოტიზმი. ყველა ეტატიზმი აზიაში თუ ევროპაში იყო დესპოტიური.

ამ რიგათ, ლიბერალური ეკონომიკა დამარცხდა, მაგრამ მის ალაგს იჭერს არა სოციალისტური ეკონომიკა, არამედ ეტატიური; სახელმწიფოს ძველი კულტი აღდგა, ე. ი. მარცხდება როგორც პიროვნება, ინდივიდუალიზმი, ისე საზოგადოება—სოციალიზმი და ორივეზე ერთნაირათ ბატონდება ხმალი.

ნეო-კაპიტალიზმი გეგმიანი ეკონომიკის გზით მიილტვის დესპოტიზმისაკენ და ამაში იხმარიებს ნეო-სოციალიზმს. პირველი ინახავს რა კაპიტალისტურ ეკონომიურ ბაზას, ხვევს მას მისთვის შეუფერებელ ვიწრო იურიდიულ ფორმებში, ხოლო მეორე უარს ყოფს რა ამ ბაზას და ამ ფორმებს, საქმით ის ზის მის ნავში და ადასტურებს მის ეკონომიურ გეზს.

რწმენა ეტატიზმით სოციალიზმის განხორციელებისა ბადებს ინტერნაციონალში სოციალურ ოპტიმიზმს, თითქოს ყველაფერი თავისთავათ, ფატალურათ ეწყობა ჩვენი პროგრამის თანახმათ, თვით ბურჟუაზიის დახმარებით. ამ ოპტიმიზმმა დაბადა სოციალისტური პასივიზმი, ნებისყოფის მოდუნება, რევოლიუციური ენერგიის და ინიციატივის დაცემა, ფაქტების წინაშე მუხლის მოყრა, ისტორიული იმპრესიონიზმი.

ამიტომ სოციალისტური პოლიტიკა გამოიხატება რამოდენიმე უბრალო აქსიომაში: ომს ზავი სჯობია, უმუშიერობას სამუშაო, ეკონომიურ დაცემას ეკონომიური აღორძინება და სხ. და მას ეწირვის მთელი სოციალისტური ენერგია. ბურჟუაზიული დემოკრატიის ვერბალიზმი გადაედვა სოციალისტურ დემოკრატიასაც.

ეტატიზმის მამათ-მთავარია ბურჟუაზიული დემოკრატია, რომლის მიზანია ამ საშუალებით შეინახოს კაპიტალიზმი დაჰაირებული, არ დაანებოს საზოგადო ძალებს გაშლა და გაღრმავება, მოადუნოს კლასთა ბრძოლა, გააბატონოს mediocrité en tout. ეტატიზმი აჩერებს რა საზოგადოებას ერთ წერტილზე იმორჩილებს მას, აუძლურებს და მას ევლინება ბატონათ, მომრიგებლათ და მხსნელათ. ამის გზა და ხიდია: ეკონომიური კანონების ალაგას ეკონომიური დეკრეტები, კლასთა ბრძოლის ალაგას პოლიტიკური ბრძანებები.

ეტატიზმის საბოლაო დასკვნაა: ეკონომკაში, ღარიბი საზოგადოება და მდიდარი ხელისუფლება, პოლიტიკაში—ფაშიზმი და ბოლშევიზმი.

სოციალისტური ინტერნაციონალი თავს დააღწევს დღევანდელ კრიზისს იმდენათ, რამდენათ ის განთავისუფლდება ბურჟუაზიული დემოკრატიის ტყვეობისაგან და დადგება კლასიკური სოციალიზმის ნიადაგზე.

ამ განახლებისათვის საჭიროა იცნოს მან, რომ ეტატიზმს არაფერი საერთო არა აქვს სოციალიზმთან, როგორც ამას აღიარებდა მუდამ ძველი სოციალიზმი.

რომ კაპიტალისტური გეგმიანი ეკონომიკა ნიშნავს კაპიტალისტურ გეგმიან ყვლეფას მუშის და მთელი საზოგადოების.

რომ სოციალიზმის დამახასიათებელია არა გეგმიანი ეკონომიკა, არამედ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობა, შრომის განთავისუფლება.

ამიტომ მხარის დაჭერა და მოთხოვნა ისეთი რეფორმების, რომელნიც აადვილებს შრომის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

უარისყოფა ყველა იმ რეფორმების, რომელნიც აძლიერებენ არსებულ ბურჟუაზიულ ხელისუფლებას, მის აპარატს, მის ბიუროკრატიას და აგრეთვე იმ რეფორმების რომელნიც მშრომელთ მხოლოდ უცვლის ბატონთ და მათ უნერგავს ილიუზიას, ვითომ ბატონის გამოცვლა სცვლის მის სოციალურ მდგომარეობას, თუ, ჟორესის სიტყვით რომ ვთქვათ, შნაიდერს სახელმწიფო დაერქმევა, მისი კეთილდღეობა აყვავდება.

მხარის დაჭერა ყველა იმ რეფორმისათვის, რომელნიც ხელს უწყობენ სოციალური ძალების გაშლას, კლასთა წინააღმდეგობის გამოაშკარავებას, ხალხის სახელმწიფო ოპეკისაგან განთავისუფლებას, მისი შრომის დაცვას, მისი ნაშრომის რაც შეიძლება მეტი წილის მის საკუთრებაში დატოვებას, მისი პოლიტიკური შეგნების და ბრძოლის გაძლიერებას, ყოველივე იმ ზომის, რაც აჩქარებს და აადვილებს კაპიტალისტური რეჟიმის წინააღმდეგ ხალხის დარაზმვას სოციალისტური დროშის ქვეშ და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას *).

ამ ძირითადი დებულებებისაგან გამომდინარეობს ჩვენი დამოკიდებულება ეგრეთ წოდებულ ერთი ფრონტისადმი.

რაკი ეტატიზმს არაფერი საერთო არ აქვს სოციალიზმთან, ცხადია საბჭოთა ეტატიზმთან, ისე როგორც ბურჟუაზიულ და ფაშისტურთან, სოციალიზმს არავითარი კავშირი არ აქვს. მოსკოვთან ერთი ფრონტი მიუღებელია არა მარტო იდეოლოგიურათ, არამედ ტაქტიკურათაც. სოციალიზმის დასუსტების ერთი მიზეზთაგანია მისი მეგობრობა ბოლშევიზმთან, რაიცა ფართო მასას ერეკება ფაშისტების ბანაკში. სანამ სოციალიზმი არ გამოაცხადებს ბოლშევიზმს ანტი მარქსისტულ და ანტი სოციალისტურ მიმდინარეობათ, მანამდე ის თავს ვერ დააღწევს დაუძლურებას. ევროპის ხალხთა სალი გონება ვერასოდეს ვერ შეურიგდება ხალხის სრულ ექსპლოატაციას და მისი მთელი ქონების მთავრობის ხელში დაგროვებას. ევროპის ეტატიზმი არასოდეს არ ყოფილა ისეთი სრული და ინტეგრალური, როგორიც იყო ძველ რუსეთში, ჩინეთში, ეგვიპტეში და აზიის სხვა შორეულ ქვეყნებში.

დადგენილებები სოციალ. ინტერნაციონალის.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სტრატეგია და ტაქტიკა ფაშისტურ რეაქციის ხანაში.

საერთო ნაწილში კონფერენციის ეს მთავარი რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ისტორიაში არ ნახული კრიზისი, მოწმობს კაპიტალიზმის უძლურებას გამოიყენოს ის საწარმოო ძალები, რომელიც თვით მან გაავითარა და ის სიმდიდრენი, რაიცა მისი ბატონობის ქვეშ პროლეტარიატმა შექმნა. მას აღარ შეუძლია უზრუნველჰყოს ხალხის მასების არსებობა, ეს გარემოება ისტორიის დღის წესრიგში აყენებს მისი დანგრევის და სოციალისტური საზოგადოების შექმნის პრობლემას.

კრიზისმა არსებითად გამოცვალა კაპიტალისტური ეკონომიკის სტრუქტურა. ლიბერალური და ინდივიდუალისტური ფაზა მისი განვითარებისა განვლილია. კრიზისის გავლენის ქვეშ სწრაფი ნაბიჯით ვითარდება ახალი ფორმა კაპიტალისტური მეურნეობის, გაწესრიგებული, კონტროლს ქვეშ დაყენებული, მონოპოლისტური.

მეორე მხრით, იმავ კრიზისის გავლენით, ძირიანათ შეირყა დემოკრატია იმ ქვეყნებში, სადაც მან ვერ შესძლო მძლავრი ძირები გაედგა ომის წინ. გერმანიაში, მსხვილ კაპიტალიზმმა და მიწის მსხვილ საკუთრებამ, გამოიყენეს რა წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის გაღატაკებულ მასების სასოწარკვეთილება, დაარბიეს მუშათა კლასი და გერმანიის მთელი ხალხი დააყენეს ტერორისტულ დესპოტიის ბატონობის ქვეშ.

«ეკონომიკის ახალ, გაწესრიგებულს და სახელმწიფო კანტროლის ქვეშ დაყენებულ ფორმებს შეუძლია მოამზადოს გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში მხოლოდ იმ ორმაგი პირობით, რომ სახელმწიფო ძალაუფლება იმყოფებოდეს მუშებისა და გლეხების ხელში და რომ მას თან ახლდეს მშრომელთა მიერ თავისუფლად შექმნილი მათი ორგანიზაციები. ხოლო როცა ეკონომიკაზე გამეფებული სახელმწიფო წარმოადგენს ტირანიას, რომელიც მოკლებულია ხალხის კანტროლს, როცა ის სპობს პიროვნებათა და ორგანიზაციათა თავისუფლებას, მაშინ იმავე პირობებს მივყევართ უსაშინელეს მონობისაკენ».

ამხ. ნიკო ნასიძე

უეცრათ გარდაიცვალა პარიზში, დასაფლავებულ იქნა სოფ. ლევილში 23 სექტემბერს.

ნეკროლოგს მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

ეკონომიური კრიზისი, ამავე დროს, ამწვავებს ანტაგონიზმს სახელმწიფოთა შორის, აძლიერებს ეკონომიური იზოლიაციის ტენდენციებს და ქმნის დეზორგანიზაციას მსოფლიო მეურნეობაში. ფაშიზმი აძლიერებს ნაციონალურ წინააღმდეგობას და საშიშროებას ახალი მსოფლიო ომისას, რაიცა მოასწავებდა მთელი ცივილიზაციის დანგრევას.

მხოლოდ სოციალისტურ მუშათა მოძრაობას ძალუძს შექმნას ისეთი წყობილება, რომელიც შესძლებს გამოიყენოს ყველა საწარმოო ძალები, ჩამოაგდოს ხანგრძლივი ზავი, შეინახოს ინდივიდუალური და გონებრივი თავისუფლება, რისთვისაც ამდენ რჩეულთ შეუწირავთ თავი რეფორმაციის ხანაში, აბსოლიუტიზმის ბასტილიებში და ბურჟუაზიულ რევოლიუციებში.

მუშათა კლასმა უნდა გაიგოს რომ გამეფებული სიღატაკე მასებისა, ისე როგორც პოლიტიკური კატასტროფები, ნიშნებია ახალი წყობილების, სოციალიზმის გამარჯვების, რის გარეშე კაცობრიობის მთელს პროგრესს დაღუპვა მოელის.

ამ რწმენით აღჭურვილმა პროლეტარიატმა კიდევ უნდა გააძლიეროს თავისი ბრძოლა კაპიტალიზმის, ფაშიზმის და ომის წინააღმდეგ.

ფაშისტურ ქვეყნებში დიქტატურის შემუსვრა შეუძლია მხოლოდ ხალხურ რევოლიუციას, რომელიც ამავე დროს დაანგრევს ფაშიზმის მთავარ ეკონომიურ ბაზას—მსხვილ კაპიტალიზმს და მსხვილ მიწის საკუთრებას. ის დაამყარებს ახალი წესწყობილების ბაზას, რომელზედაც აღიმართება სოციალისტური დემოკრატია.

იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატია შენახულია, მუშათა კლასმა ის უნდა დაიცვას მთელი თავისი ძალღონით. მაგრამ არ უნდა დაივიწყოს ამასთანავე, რომ საუკეთესო საშუალება ფაშისტურ დემაგოგიასან ბრძოლისა არის მხნე და გაბედული აქტები, რეფორმები, მშრომელთა დაცვა კაპიტალიზმისაგან, უმუშევრობასან ბრძოლა, ხალხური მოძრაობის ინიციატივის ხელში აღება. სოციალური დემოკრატიისათვის საფუძვლის მომზადება.

«მუშათა სოც. ინტ-ი, უკუაგდებს რა ყოველივე მანიოვრს საერთო ფრონტისას, რომლის მიზანია არა მუშათა კლასის ინტერნაციონალურათ გაერთიანება, არამედ მისი ნაციონალური დაყოფის გაძლიერება, კვლავ აცხადებს თავის გადაწყვეტილებას მიიღოს ყოველივე ზომა მუშათა კლასის დაქსაქსული ძალების გასაერთიანებლათ».

კონფერენცია ადგენს:

1) ყველა სოციალისტური პარტიები აწყობენ მასიურ მანიფესტაციებს ფაშიზმის წინააღმდეგ 9 ნოემ. კვირაში, გერმანიის რევოლიუციის (1918) წლისთავზე.

2) ყველა სოც. პარტიები აღნიშნავენ თავის სოლიდარობას ფაშიზმის მსხვერპლთან და ყოველივე ძალღონით მხარს დაუჭერენ მატეოტის სახელის ფონდის მიერ ინიციატივას გერმანულ ფაშიზმის მსხვერპლთა დასახმარებლათ.

3) მუშ. სოც. ინტ-ი მხარს დაუჭერს ყოველივე ცდას ჰიტლერიზმის მორალური და მატერიალური ბოიკოტის ქვეშ დაყენებისას.

4) ის მოუწოდებს ყველა თავისუფალ ხალხებს შეერთებული ძალით შეებრძოლონ ომის საშიშროებას, რასაც წარმოადგენს გერმანიის და იტალიის ფაშიზმი.

5) ინტ. მოუწოდებს დემოკრატიულ ქვეყნების მუშებს წინააღუდგენ ყოველგვარ ომების, ისეთებისაც, რომელთ გამათავისუფლებელ ომებათ აცხადებენ.

თუ, მიუხედავათ მუშათა კლასის წინააღმდეგობისა, ომი მაინც გაიმართა, მასში ჩარეულ ქვეყნების მშრომელთ—იმ ქვეყნებისაც კი, რომელთაც თავს ესხმიან—ორმაგი მოვალეობა დააწვება თავს:

ერთის მხრით, დაიცვან სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება მათ ორგანიზაციათა მოქმედებისა; მეორე მხრით, შეინახონ დამოკიდებულება ინტერნაციონალურ ხელმძღვანელ ორგანიზაციებთან, რათა შესაძლებელი იქნას მუშაობა საომარ მოქმედების რაც შეიძლება სწრაფათ შეჩერებისათვის.

ფაშიზმის ტალღების ზრდის გამო ინტერნაციონალი აცხადებს საერთაშორისო მოქმედებას და მშრომელთა შორის ინტერნაციონალური სოლიდარობის გაძლიერების აუცილებლობას. ის უკუაგდებს ყოველივე დათმობას ნაციონალიზმის წინაშე.

დაბოლოს, კონფერენცია მოუწოდებს ყველა ხალხთ მხარში ამოუდგენ ინტერნაციონალს ფაშიზმის, ომის საშიშროების და კაპიტალიზმის რეჟიმის ბარბაროსობის წინააღმდეგ.

---

*) მაგალითათ, საფრანგეთის გლეხობის დახმარება მოითხოვს არა პურის და ღვინის ყიდვა-გაყიდვის სახელმწიფო მონოპოლიას, ე. ი. გლეხის მთავრობის ოპეკაში დაბმას, არამედ გლეხის დავალიანების მოსპობას მცირე საკუთრების ფინანსისტების ოლიგარხიის კლანჭებისაგან განთავისუფლებას და ამ მისი განახლებული საწარმოვო მდგომარეობის ნიადაგზე მათი კოოპერატიული საწარმოვო და საალებმიცემო ორგანიზაციების მოწყობას და სხ. ერთი სიტყვით სასოფლო მეურნეობის რევოლიუციური გარდაქმნა ანტი-კაპიტალისტური გეზით.

პარტიაში

იძულებითი განმარტება

«ბრძოლის ხმის» ივნისის ნომერში (№ 34) დაიბეჭდა ორი წერილი, ერთი ბიუროსი, მეორე, ბიუროს დადგენილებით, ჩემი, სადაც მივმართავდით ჩვენგან გამდგარ ქართველ სოც.-დემოკრატებს შემოკრებილიყვენ პარტიის და მის ხელმძღვანელ ორგანოთა ირგვლივ, ჩამდგარიყვენ პარტიის ორგანიზაციულ წყობაში და მიიღონ თავის თავზე პარტიული მოვალეობანი. ამის საპასუხოთ მათ, ირ. წერეთლის, რ. არსენიძის, შალვა აბდუშელის და ვ. ნოზაძის მეთაურობით და ხელის მოწერით, ბროშიურით გვიპასუხეს თანამშრომლობაზე უარი. ამის საბუთათ გამოუქვეყნებიათ მათი წერილი პარტიის ცენ. კომიტეტისათვის მიწერილი და ც. კ-ს პასუხი ბიუროსადმი მომართული. მთელი ეს მიწერ-მოწერა იმ დღიდან რაც პარტიის სახელზე პარტიაში გაიგზავნა შეადგენდა პარტიის საკუთრებას და მის დაუკითხავათ და ნებადაურთველათ აღარავის შეეძლო გამოექვეყნებია. აი ეს ელემენტარული სავალდებულო მორალი მათ გადაუჯეკნიათ და წმინდა ბოლშევიკურათ, ყოველივე წესების დარღვევით, სააშკარაოზე გამოსულან. მათ მიითვისეს ც. კ. წერილი, დაბეჭდეს და ყიდიან! მათ მიითვისეს სხვა ამხანაგებთან საზიარო დოკუმენტი და მათ ნებადაურთველათ მტრების საჯიჯგნათ გაუხდიათ. ავტორული უფლებაც კი არ დაუცავთ, უფლება რასაც მფარველობს ყველა ქვეყნის კანონი, გარდა რასაკვირველია კომუნისტებისა.

ასე უმსგავსოთ დაწყებული დავა რა იქნება თუ არა კრებული სხვა კიდევ უფრო გასაშტერებელი ამბებისა.

ჩვენ შევეკითხეთ ნათლათ: მიიღეთ მონაწილეობა ბიუროს ახალ წესებზე აგებულ მუშაობაში. მათ კი გვიპასუხეს: რადგან ძველ ბიუროში, ამ სამი, ხუთი და რვა წლის წინეთ, მუშაობის მიუღებელი წესები იყო დამკვიდრებული, ამიტომ ახალ ბიუროში მონაწილეობაზე უარს გეუბნებითო! საიდან სადაო, რა შუაშია აქ ძველი ამბების მოტანა. მათ ეუბნებიან გამარჯობას, ისინი უპასუხებენ—წისქვილში მივდივართო! ცხადია, ეს არის უბრალო მომიზეზება და არა მიზეზი. ისინი უარს ამბობენ პარტიასთან თანამშრომლობაზე ნამდვილი მიზეზის დაუსახელებლათ. ორში ერთი: ან ისინი იდეოლოგიურათ და პოლიტიკურათ ისე დაშორდენ პარტიას, რომ მის წყობაში ყოფნა აღარ სურთ, ანდა მოიღალენ, არავითარი პოლიტიკური საქმის გაკეთება აღარ სურთ და უნდათ თავი გავანებოთ. ორივე ეს მოვლენა სრულიად გასაგებია, გაუგებარია მხოლოდ ამის დამალვა და გულახდილი პასუხის მაგიერ ძველი ისტორიების წამოწყება.

სანამ ეს ისტორიები ემიგრაციის ერთ ნაწილში ვრცელდებოდა, მითქმა-მოთქმის ხასიათს ღებულობდა, მანამდე მას არც ვაქცევდით ყურადღებას, ემიგრაციაში რა არ ითქმება. მაგრამ როცა ეს ამბავი ახლა საჯაროთ გამოიტანეს, როცა ბიუროს ორმა ყოფილმა წევრმა შეეცადა გაბახება პარტიის ხელმძღვანელი დაწესებულების ევროპაში, მით უფრო როცა ეს ეხება გარდაცვალებულ ამხანაგების მუშაობასაც, გაჩუმება მიმაჩნია დაუშვებლათ. ამ დაწუნებულმა ბიურომ უდიდესი სამსახური გაუწია პარტიას და ერს და მისი აბუჩათ აღება—ეს თვით ჩვენი საქმის აბუჩათ აღებაა. მათ რომ კითხოთ ბიუროს მუშაობის სისტემამ «ჩვენი პარტიის და ქვეყნის საქმეს პირდაპირ დამღუპველი შედეგები მოუტანა», ე. ი. ჩაგვიდენია უდიდესი დანაშაული, დაგვიღუპავს პარტია და ქვეყანა. ამაზე უდიდესი ბრალდება არც შეიძლება წარმოვიდგინოთ. საბუთები? საბუთებათ მოყვანილია რამოდენიმე მაგალითი ბიუროს ცხოვრებიდან.

ჯერ ერთი, საიდან იციან ამ ძველი მაგალითების სიმართლე წერილზე ხელის მომწერლებმა? ამათში მათი ცოდნა შეუძლია ერთათ ერთ პირს, წერეთელს, რამდენიმეთ არსენიძესაც, ხოლო ყველა დანარჩენნი არა თუ ბიუროში არ იღებდენ მონაწილეობას, პარიზშიაც, ბევრი საფრანგეთშიაც, არ იმყოფებოდენ *). მაშასადამე, მათი ცნობის წყაროთ ყოფილა ირ. წერეთელი, მას დაუჯერეს და მიემოწმენ. მთელი მორალური პასუხისმგებლობა ედება მხოლოდ მას.

აი ბრალდებანი:

«აგვისტოს გამოსვლის შემდეგ გამოირკვა, რომ აჯანყების მოახლოვების ნიშნებზე საქართველოში მყოფ ამხანაგებმა საზღვარ-გარეთ გამოგზავნეს განსაკუთრებითი პირი» და სხ. და რომელიც თურმე არ უჩვენეს არც «მთელ ბიუროს და არც კერძოთ ზოგიერთ ისეთ ამხანაგებს, რომელნიც საზღვარ-გარეთ განსაკუთრებულ მუშაობას აწარმოებდენ... ასეთ გარემოებათა აღმოჩენამ დაბადა პირველი განხეთქილება ჩვენს ორგანიზაციაში და იმავე დროს წარმოიშვა ის ოპოზიცია, რომელსაც ამხანაგ ირ. წერეთელის სახელი დაერქვა».

აი ისტორია! მთელი ეს მოთხრობა შეთხზულია თავიდან ბოლომდე. იმ დროს არავითარი დელეგატი საქართველოს ს.-დ. პარტიას ბიუროსან არ გამოუგზავნია და რასაკვირველია ბიუროც ვერ ნახავდა. ის ერთათ-ერთი დელეგატი, რომელიც მართლა მოვიდა, ვ. ნოდია, იყო გამოგზავნილი დამკომისაგან, სადაც ყველა პარტია იღებდა მონაწილეობას პარიტეტულათ, გამოგზავნილი არა რომელიმე პარტიასან, არამედ მთავრობასან. მთავრობამ მას შეახვედრა ორი თავისი წევრი (რამიშვილი და გეგეჭკორი) კონსპირატიულ ადგილზე და მათ გადასცეს ყველა საჭირო ცნობები. სხვანაირი დავალება მას არ ქონებია, და არც მოუთხოვია. ეს ისეთი უდაო ამბავი იყო, რომ ბიუროს 16 ოქტომ. სხდომაზე (1924) საქართველოსან კონსპირატიული კავშირის დაჭერა უკამათოთ მიენდო იმავე ნ. რამიშვილს. არასოდეს ნოდიას მოსვლის საკითხი სადოთ არ ყოფილა ბიუროში, არც ვინმეს წამოუყენებია ის. მაშასადამე ამით ვერავითარი განხეთქილება ვერ დაიწყებოდა და არც დაწყებულა. ამ განხეთქილების დაწყება აღნიშნულია ბიუროს 19 ოქტომბრის ოქმში გვარიან ვრცლათ და იქ ნოდიას ან სხვა რაიმე ორგანიზაციული დავის ხსენებაც კი არ არის. დავა დაიწყო წერეთელმა ტაქტიკაზე და გადაიტანა ის ფართე მასაში. თავის მოხსენებაში ამ

---

*) ბიუროს ორი წევრი სალაყაია და წულაძე საფრანგეთში არ ცხოვრობდენ.

საგანზე მას ორგანიზაციული საკითხი სრულიად არ წამოუყენებია. მასზე ერთი სიტყვაც არ არის არც მის რეზოლიუციის პროექტში და არც მიღებულ რეზოლიუციაში (იხ. «ბრძოლა» № 1).

აი სინამდვილე, ხოლო ახლა რასაც ისინი სწერენ შემდეგ გამოგონილი ამბავია.

მეორე ბრალდებაა ინტერნაციონალში მუშაობის სფეროდან. წარმოდგენილია ისე, ვითომ ამ სფეროში წერეთელმა ყველაფერი გააკეთა, ხოლო სხვებმა, უფრო მე და რამიშვილმა, ყველაფერი გავაფუჭეთ. ეს მოთხრობილია ზღაპრული კილოთი, არც საბუთი, არც დამტკიცება. რასაკვირელია, ირ. წერეთელმა იმუშავა ინტერნაციონალში, მაგრამ მას გაეკეთებიოს სხვებზე მეტი და ან იმდენი რამდენიც სხვებმა გააკეთეს—სიმართლეს არ შეეფერება. მადლობა ღმერთს დაბეჭდილია დოკუმენტები სხვა და სხვა ენაზე და მათი გაცნობა არც ისე ძნელია.

ინტერნაციონალში მუშაობა განიყოფება ორ პერიოდათ, დამოუკიდებლობის ხანა და დაცემის ხანა. პირველ პერიოდში რომ ინტერნაციონალი მხარს გვიჭერდა—ამაში საკვირველი არაფერია; იცნეს ფაქტიური მდგომარეობა და იცავდენ მშვიდობიანობას. მძიმე დრო დაგვიდგა მხოლოდ დაცემის შემდეგ: აქ იყო საჭირო დიდი მუშაობა რომ ინტერნაციონალს არ ეცნო ახალი ფაქტი და გამოსულიყო ჩვენ მოსარჩლეთ. აი ეს რთული მუშაობა თავს იდვეს სამმა პირმა: ჩხეიძემ, რამიშვილმა, ჟორდანიამ და გამოატანიეს ჩვენი სასარგებლო რეზოლიუციები 1921 წ. 1 ივნის საფრანგეთის პარტიას, 22 ივნის ბელგიისას, იმავე ივნისში ინგლისისას (ბრაიტონის კონგრესი) და მეორე ინტერნაციონალის ეგზეკუტივის, ივლისში ვენის ინტერნაციონალს (ფრანკფურტის ყრილობა), სექტემბერში შვეიცარიის ყველაზე უფრო ბოლშევიზანურ პარტიას, დეკემბერში ინტერნაციონალის ბიუროს, ბრიუსელში და სხ. ხოლო ე. გეგეჭკორი მუშაობდა იტალიის სოც. პარტიაში. ამან მოიტანა იშვიათი ნაყოფი—შეკითხვა ჩვენს საქმეზე პალატაში და ხელჩართული ბრძოლა ამის გამო სოციალ. და კომუნისტ დეპუტატებს შორის. არც ერთ ამ მუშაობაში წერეთელი არ იღებდა მონაწილეობას და მას ასე გამზადებული საქმე ჩავაბარეთ ჰამბურგის კონგრესზე. აი ამ დღიდან იწყება ჩვენი საქმის დაქანება უკან. აჯანყების დროს ადლერმა უარი გვითხრა რაიმე დახმარებაზე ეგზეკუტივის დაუდგენლათ და გვირჩია პრესას მიმართეთო. ხოლო აჯანყების ჩაქრობის შემდეგ შეკრებილმა ეგზეკუტივმა, რომელსაც წერეთელი დაესწრო, ძველი რეზოლიუციის განმეორებით და საერთო სიმპატიებით დაკმაყოფილდა, არავითარი მოთხოვნილება საბჭოებს არ წაუყენა. საზოგადოთ, ინტერნაციონალში სუსტი მუშაობა იწვევდა ბიუროში უკმაყოფილებას და ხშირ უსიამოვნო დებატებს.

ახლა გამომდგარა ირ. წერეთელი და აცხადებს, რაც გაკეთდა მე გავაკეთე, რაც გაფუჭდა—სხვამ გააფუჭაო. ამის ერთათ-ერთ საბუთათ მოყავს ჩემი და ნ. რამიშვილის წერილები, ქარცივაძისათვის მიწერილი. მაგრამ არსებობს ინტერნაციონალის დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილია მიზეზები ჩვენი პარტიისადმი უკმაყოფილებისა. ეს დოკუმენტია ადლერის მოხსენება ეგზეკუტივისათვის, 11 თებერვლის 1929 წ. თარიღით და რომლის ასლი ბიუროს მოუვიდა. გამდგართა შორის ერთათ ერთი წერეთელი იცნობს ჩინებულათ ამ დოკუმენტს და რომ ჩვენ მათსავით შეგვეძლოს მოქცევა მას გამოვაქვეყნებდით ავტორის ნებადაურთველათ და დღემდის დამალული ცხადი იქნებოდა. ახლა კი იძულებული ვართ აღვნიშნოთ მოკლეთ შიგ ჩამოთვლილი სამი მიზეზი.

პირველ მიზეზათ ნაჩვენებია ბიუროს რეგლამენტის დამატება, საიდანაც დაუნახავთ პარტიის ორ ნაწილათ გაყოფა. ბიურომ მხოლოდ აქედან გაიგო, რომ ირ. წერეთელს ადლერისათვის მიუწოდებია ბიუროს უცოდინარათ და ნებადაურთველათ რეგლამენტის დამატება, ხოლო რეგლამენტი არ გაუგზავნია. ე. ი. მას მიუწოდებია ცალმხრივი ინფორმაცია; მეორე მიზეზათ ნაჩვენებია ჩვენი კოალიცია კავკასიის სხვადასხვა პარტიებთან და მონაწილეობა «პრომეთე»-ს დაარსებაში, რაიცა რამიშვილის წერილიდანაა მოყვანილი. მესამე და მთავარი მიზეზია ირ. წერეთლის ბროშიურა, საიდანაც მოყვანილია მთელი გვერდები, განსაკუთრებით ის ადგილები, სადაც ჩვენ სამხედრო კომბინაციები გვბრალდება.

ახლა გეკითხებით, როცა პარტიის წარმომადგენელი ინტერნაციონალს ასეთ ორ ყალბ ინფორმაციას აწვდის, ინფორმაციას, მაშასადამე ოფიციალური ხასიათისას, რა დარჩენია უცხო ამხანაგთ გარდა იმისა, რომ ეს დაიჯერონ და მას შესაფერი მსვლელობა მისცენ. ნ. რამიშვილის წერილიდან მოყვანილი ცნობა კოალიციის შესახებ არის საკითხი პოლიტიკური, სადისკუსიო ყველა პარტიაში. მაგრამ თუ პარტიაში რასკოლია, არევ-დარევაა, თუ პარტია ომის მოტრფიალე და მაძიებელია, ვინ გაუწევს მას რაიმე დახმარებას. აი ასე დააზარალა ჩვენი პარტია მისმა წარმომადგენელმა ინტერნაციონალში და ახლა ამას ფარავს ჩვენკენ შემოდავებით.

თუ მთავარი ეპიზოდები ჩვენი წარსული მუშაობისა ასე ყალბათ არის მოთხრობილი წერილში, რა ღირსების იქნება წვრიმალები ადვილათ წარმოსადგენია. არც ერთი ეს წვრიმალი სისწორით მოყვანილი არ არის. ამაებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ; პარტია საქართველოში ყველა ამ საქმეების კურსშია.

დასასრულ ირ. წერეთელი და რ. არსენიძე დიდის რიხით აცხადებენ: «პარტია და ხალხი გაგვსჯის ჩვენ». ნამდვილათ კი ეს მსჯავრი კარგა ხანია გამოტანილია, მათი პოზიცია, მათი ცდა საქართველოს საკითხი რუსეთის შინაურ საკითხათ აქციონ, უარყო პარტიამ, ხალხმა იქ და ემიგრაციის დიდმა უმრავლესობამ აქ. თვით მათი მოკავშირენიც კი ემიჯნებიან მათ იმავე საერთო ბროშიურაში და რჩებიან განმარტოვებულნი.

მე ეს სრულებით არ მიხარია; ძველი ამბების ქექა ჩემი ხელობა არ არის: ეს ისტორიის მასალებია. მაგრამ როცა ამ ისტორიას უკუღმა ატრიალებენ და ამ საშუალებით საბრალდებულო სკამზე გვაჯენენ კვდართ და ცოცხალთ—ერთათ ერთი პასუხია სიმართლის აღდგენა. ყველა დოკუმენტი არსებობს, მთელი გავლილი გზა ოქმებში გატარებულია.

ნ. ჟორდანია.

მრუდე სარკე

ამ ორიოდე თვის წინათ პარიზში გამოვიდა ბროშიურა სახელწოდებით: «სიმართლე შინა პარტიული დავის შესახებ». სინამდვილეში ეგ ბროშიურა წარმოადგენს არა სიმართლეს, არამედ ჩვენი შინაპარტიული დავის მრუდე სარკეს. გარდა იმისა, რომ იგი შეიცავს ტენდენციურათ შერჩეულ მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტს, მისი წინასიტყვაობა და ერთი შენიშვნა, რომელიც გაკეთებული აქვს ჩვენი პარტიის ცეკასადმი მინაწერ წერილს, მიზნათ ისახავენ დავის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტები დაუმალონ მკითხველ საზოგადოებას და მით შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრივი აზრი. ცხადია ბროშიურის გამომცემლები თვითონაც კარგად გრძნობენ, რომ მთელი სიმართლის თქმა მათთვის სასარგებლო არ იქნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ უკადრის გზასაც არ მიმართავდენ.

თუ რა ღირსების სიმართლეს შეიცავს ზევით დასახელებული შენიშვნა, ამას მკითხველი გაეცნობა ჩვენი გაზეთის ამავე ნომერში დაბეჭდილ ამხ. ვ. წულაძის და ამხ. გრ. ურატაძის წერილებიდან. პირადათ მე ჩემი ხელისმოწერა არ მივეცი გამოსაქვეყნებლათ, რადგან უაღრესად მავნებლად მიმაჩდა შინაპარტიული დოკუმენტების გზა-შარაზე გამოტანა და საჯაროთ გამოქვეყნება. ჩემთვის ცხადი იყო და არის, რომ ამ დოკუმენტებით ბოროტად ისარგებლებენ ჩვენი პარტიის მტრები. მე არ მინდოდა გამეზიარებია ასეთი შედეგის პასუხისმგებლობა *).

ამ წერილის მიზანს კი შეადგენს გააცნოს მკითხველ საზოგადოებას, განსაკუთრებით იმ ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც შორს იდგენ ჩვენი შინაპარტიული დავისაგან, ამ დავის ორი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი.

ბროშიურის გამომცემლები წინასიტყვაობაში ყრუთ იხსენიებენ «ბრძ. ხმის» № 34 ში დაბეჭდილ საზღვარგარეთელ ბიუროს მოწოდებას და ნ. ჟორდანიას წერილს შინაპარტიული დავის შესახებ და დასძენენ: «დღეს ბიუროს ყველა ამ უთანხმოების წყარო მოუსპია თავის წრეში რამდენიმე ახალი წევრის მოწვევით და გაერთიანებისაკენ მოწოდების გამოშვებით». ბროშიურის გამომცემლებმა და განსაკუთრებით მათმა სარედაქციო კოლეგიამ კარგად იციან, რომ ასეთი დასკვნა ისეა დაშორებული სიმართლისაგან, როგორც ცა დედამიწისგან. შინაპარტიული დავა, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი ტრიალებდა არსებულ სისტემის სხვადასხვა ნაირ დაფასების ირგვლივ და მას ქონდა წმინდა ორგანიზაციული ხასიათი, რაც ნათლად სჩანს იმ საარჩევნო დეკლარაციებიდან, რომელნიც აქ არსებულ სამივე ჯგუფის მიერ იქნა წაკითხული პარტიულ ორგანიზაციის საარჩევნო კრებაზე გასული წლის თებერვალში და რომელნიც ბროშიურის გამომცემელთ «რეზოლიუციების» სახელით მოუნათლავთ.

ამ ორგანიზაციული ხასიათის დავის ამოსაწურავათ მიმდინარე წლის გაზაფხულზე ბიუროს თავმჯდომარემ და პარტიის ლიდერმა ნ. ჟორდანიამ სამივე დაჯგუფებას დაუგზავნა ორგანიზაციული წყობის ახალი პროექტი, რომელშიც ჯეროვანი ანგარიში აქვს გაწეული ოპოზიციონურ ჯგუფების დეკლარაციაში გამოთქმულ სურვილებს. იგი თხოვდა ყველა ამხანაგებს მიეღოთ ეგ პროექტი, შემოკრებილიყვენ პარტიულ ორგანოების ირგვლივ და ჩაბმულიყვენ ქვეყნისა და პარტიის სამსახურში.

აი ეს პროექტიც.

«1. უცხოეთში პარტიულ მუშაობას უძღვება და ეროვნულ მთავრობასთან და პოლიტიკურ პარტიათა ცენტრთან თანამშრომლობს ს. ს.-დ. მ. პარტიის სახელით და მისი საერთო ხელმძღვანელობით საზღვარგარეთელი ბიურო.

2. უცხოეთში არსებული პარტიული ორგანიზაციები ურდგენენ ცენტრალურ კომიტეტს ბიუროს წევრთა სარეკომენდაციო სიას.

3. ბიუროში, მის სეკრეტარიატში და პარტიულ ორგანოს სარედაქციო კოლეგიაში უნდა იქნენ წარმოდგენილნი ყველა პარტიულ ნიადაგზე მდგომი ტენდენციები.

> შენიშვნა. ნებართვა ტენდენციების მიხედვით სარედაქციო კოლეგიის შედგენისა უნდა იქნეს გამოთხოვილი ცეკასაგან, ფაქტიურათ კი ტენდენციების წარმომადგენლები ახლავე შედიან კოლეგიაში.

4. ბიუროს პრეზიდიუმს და სეკრეტარიატს ირჩევს თვითონ ბიურო.

5. პარტიის წარმომადგენლებს სოც. ინტერნაციონალში და ყველა იმ ორგანოებში, რომლებშიდაც ჩვენი პარტია თანამშრომლობს უცხოეთში, ირჩევს ბიურო და ურდგენს დასამტკიცებლათ პარტიის ცენტ. კომიტეტს.

6. როგორც ბიუროს უმცირესობას, ისე ბიუროს ყველა წევრს უფლება აქვს თავისი განსაკუთრებული აზრი ამა თუ იმ საკითხის შესახებ აცნობოს წერილობით ცენტ. კომიტეტს იმ პირობით, რომ ეგ წერილი წინასწარ ეცნობება ბიუროს პლენუმს ინფორმაციის სახით.

7. პარტიის ცენტრალურ ორგანოში შემოღებული იქნება სადისკუსიო განყოფილება, რათა ყველა ამხანაგს საშვალება მიეცეს პარტიულ ფარგლებში გამოთქვას თავისი განსხვავებული შეხედულებანი.

> შენიშვნა. თუ ცეკა შესაძლოთ ვერ დაინახავს ცენტრალურ ორგანოში სადისკუსიო განყოფილების შემოღებას, იმ შემთხვევაში გამოიცემა მოთხოვნილების და მიხედვით ცალკე სადისკუსიო კრებულები.

8. ვინაიდან საქმის ინტერესები მოითხოვენ, რომ შეთანხმებულ ბიუროს კანდიდატთა სია დაუყონებლივ იქნას გადაგზავნილი საქართველოში, ამ სიას ადგენენ შეთანხმებით ბიუროს თავმჯდომარე (ნ. ჟორდანია) და ტენდენციათა წარმომადგენელნი. კანდიდატთა ამ სიაში შევლენ გარდა ბიუროს თავმჯდომარისა 6 პოზიციიდან და 6 დანარჩენ ორ დაჯგუფებიდან.

შეთანხმებით შედგენილი ბიურო ფაქტიურად იწყებს მუშაობას ახლავე.»

ეგ პროექტი მიიღო «პოზიციის» დაჯგუფებამ. ძველმა «ოპოზიციამ» ეგ პროექტი იმის ღირსათაც კი არ ცნო, რომ მის საფუძველზე მოლაპარაკება დაეწყო. «ცენტრის» დაჯგუფებაში მან გამოიწვია განხეთქილება. «ცენტრს» გამოეყო 16 ამხანაგი, მათ შორის ყველა მისი დამაარსებელნი და პირველი ხელმძღვანელნი. ამ გამოყოფილმა ნაწილმა მიიღო დასახელებული პროექტი და განაცხადა თანხმობა ბიუროში თანამშრომლობაზე.

მიუხედავათ «ცენტრის» ერთი ნაწილის და ძველი «ოპოზიციის» განზე გადგომისა, პროექტი სავსებით იქნა გატარებული ცხოვრებაში. ამ პროექტით ამოწურულია ყველა ის ორგანიზაციული კითხვები, რომელნიც სადაონი იყვენ. ამაში მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რა წამს იგი შეადარებს ამ პროექტს და საარჩევნო დეკლარაციებში წამოყენებულ მოთხოვნილებებს.

ჩვენი შინაპარტიულ დავის ამ მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ ბროშიურის წინასიტყვაობაში კი არ არის ნათქვამი არც ერთი სიტყვა.

ამ დავის ასეთნაირათ ამოწურვის შედეგი იყო «ცენტრისაგან» გამოყოფილ ჯგუფის წარმომადგენლების შესვლა ბიუროში თანახმათ იმ წესისა, რომელიც გათვალისწინებულია შეთანხმების მერვე მუხლში. ამასთანავე ბიუროში დატოვებული იქნა ორი ადგილი იმ შემთხვევისთვის, თუ შეთანხმების გარეშე დარჩენილნი მომავალში შესაძლოთ დაინახავდენ ჩაბმულიყვენ საერთო პარტიულ მუშაობის ფერხულში. მათთვის ადგილი იქნა დატოვებული სარედაქციო კოლეგიაშიც.

მეორე მომენტს, რომელიც არ არის მოკლებული არც მნიშვნელობას და არც ინტერესს, და რომლის შესახებ ბროშიურის გამომცემლებისაგან მკითხველი ვერას ტყობილობს, წარმოადგენს «ცენტრის» ორ ნაწილად გაყოფა.

როგორც მკითხველიც ადვილად დაინახავს, შეთანხმების პირველი შვიდი მუხლი შეიცავს ახალი ორგანიზაციული წყობის მთავარ და პრინციპიალურ დებულებებს; მერვე მუხლი კი ერთდროული ხასიათის არის და ითვალისწინებს პირველი შეთანხმებული ბიუროს შედგენის წესს და ტენდენციათა შორის ადგილების განაწილებას. «ცენტრის» კრებამ, რომელიც პროექტს იხილავდა, პირველი შვიდი მუხლი მიიღო ხმების დიდი უმრავლესობით, ზოგი მათგანი ერთხმადაც (თავს იკავებდა 2 თუ 3 კრების მონაწილე). შეთანხმების მოწინააღმდეგებმა პროექტის პრინციპიალურ ნაწილის წინააღმდეგ ვერც ერთი ყურადსაღები საბუთი ვერ იპოვეს და ბრძოლის ცენტრი გადაიტანეს მერვე—ერთდროულ ხასიათის—მუხლზე. მათ განსაკუთრებით არ დაუჯდათ ჭკუაში ამ მუხლში გათვალისწინებული ადგილების განაწილება და იგი უარყოფილი იქნა 13 ხმით 12-ის წინააღმდეგ. ფაქტიურათ ამ მუხლის უარყოფას მოყვა ცენტრის გაყოფა და ამხანაგების ერთი ნაწილის იქედან წასვლა. მაგრამ ეგ არ იყო არც მთავარი და არც ერთად-ერთი მიზეზი მომხდარი განხეთქილებისა.

«ცენტრის» ზოგიერთ წრეებში უკანასკნელად თავი იჩინა უკიდურესათ შეურიგებელმა ტენდენციებმა. შეურიგებელთა სულისკვეთება ასე გამოხატა ერთმა მათგანმა: «რა პირობებიც არ უნდა მოგვიტანოთ—ოქროც რომ იყოს—არ გვინდა და არ გაგვანებებთ თავსო?» ამხანაგების ერთი ნაწილისათვის აშკარა იყო, რომ შეურიგებლები თავის ტაქტიკას აგებდენ არა პოლიტიკურ ანგარიშზე, არა პარტიის მთლიანობის დაცვაზე, არამედ თავიანთ ფსიქოლოგიურ განწყობილებაზე. ამ გვარად პრინციპიალური დავის ადგილი დაიკავა ბიუროში ადგილების განაწილების საკითხმა; მას შედეგათ მოყვა «ცენტრის» ორათ გათიშვა.

ამით, თავისთავად იგულისხმება, იმისი თქმა არ მინდა, რომ «ცენტში» არ დარჩენილიყვენ ისეთი ამხანაგები, რომელნიც ერთგულნი მოამაგენი არიან ჩვენი პარტიის და მისი ტრადიციების, მაგრამ—ჩემის ღრმა რწმენით—ისინი გულწრფელად ცდებიან, რაშიაც მათ ახლო მომავალი დაარწმუნებს.

მე აღვნიშნე და განვმარტე ჩვენი შინაპარტიული დავის ორი მთავარი მომენტი; სხვა საყურადღებო განმარტებებს მკითხველი ამოიკითხავს ამხ. გ. ურატაძისა და ვ. წულაძის წერილებში. ამის შემდეგ მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ის მსჯავრი, რომლისთვისაც ჩვენს პარტიულ წრეებს მიმართავენ ბროშიურის გამომცემლები, არას იტყვის ამ უკანასკნელთა სასარგებლოთ.

ი. ჭავჭანიძე.

◆

ჩემი პასუხი

ვიყავი, ვარ და ვიქნები წინააღმდეგი შინაპარტიული ურთიერთობის შარა გზაზე გამოტანის და მისი მტრების საძიძგნათ დადების; და ისიც ჩვენს პირობებში. და თუ, მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა—ამას მაიძულებს ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოცემული წიგნაკი—«სიმართლე შინაპარტიული დავის შესახებ».

ამ წიგნაკში მოთავსებულია წერილი ცეკასადმი, რომელზედაც მეც მიწერია ხელი და რომელსაც ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული: «ამ პირთა გარდა დედანზე ხელი უწერია კიდევ სამ პირს, რომელნიც შემდეგში «ცენტრს» გამოეყვნენ და ბიუროში შევიდენ და რომელთა თხოვნით მათ გვარებს ამ წერილს ქვეშ არ ვაქვეყნებთ».

ეს შენიშვნა თავიდან ბოლომდე სიმართლეს მოკლებულია, შეთხზული სრულიად შეგნებულათ.

ბიუროში შევიდა არა სამი, არამედ ორი. მე სრულიად არ მჭირდებოდა მეთხოვა ვისმესთვის, ჩემი გვარის გახსნა რადგან, ჯერ კიდევ მაშინ, როცა კომისიის მდივანმა ვ. ნოზაძემ აღნიშნული წერილი ხელის მოსაწერათ მომიტანა, მე ვსთხოვე მას აღენიშნა ოქმში რომ ვაწერ ხელს იმ პირობით, რომ ის არ გამოქვეყნდება. კიდევ მეტი. ჩემივე კარნახით მან იქვე წააწერა ამხანაგებთან გასაგზავნ ყველა ასლებს—რომ წერილი, როგორც შინაპარტიული დოკუმენტი, არ უნდა გამოქვეყნდესო.

ყოველივე ეს კარგათ იცოდენ გამომცემლებმა, მარა მაინც შეთხზეს თხოვნა გვარების მოხსნის შესახებ და ისიც ბიუროში შესვლის მოტივით!

«ცენტრს» გამოეყვენო სწერენ, მარა იმას კი არ სწერენ თუ რატომ და რა ნიადაგზე მოხდა ეს «გამოყოფა». მათ დამალეს, რომ გამოყოფა მოხდა იმ შეთანხმების თანახმად, რომელმაც სრულიად და ზედმეტად ამოსწურა სადავო საკითხები, რომ ამ შეთანხმებას თვით «ცენტრი» რამდენიმე კვირის განმავლობაში იხილავდა, რომ თავის სხდომაზე ყველა მუხლები გარდა ერთისა,—ბიუროს წევრთა რიცხვის განაწილება—ხმის უმეტესობით მიიღო კიდეც. ყოველივე ეს შეგნებულათ დაუმალეს მკითხველს და მედიდურათ განაცხადეს—«ცენტრს» გამოეყვენ და ბიუროში შევიდენო»...

ასეთივე მორალის და თვითნებობის შედეგია თვით გამოქვეყნების ფაქტიც. დადგენილება გამოქვეყნების შესახებ, როგორც ისინი სწერენ, მიუღიათ «ცენტრის» დარჩენილ წევრებს და ძველ ოპოზიციას. მარა, დოკუმენტი ხომ, პირველ ყოვლისა, ხელის მომწერლებს ეკუთვნის. მაშასადამე გამოქვეყნებაც მხოლოდ მათ შეეძლოთ. ასეთი დადგენილებაც კი არსებობდა. მიუხედავად ყოველივე ამისა ის გამოსცეს და იმდენი რიგიანობაც კი ვერ გამოიჩინეს რომ თუ ხელისმომწერთა დადგენილება არა—ის კომისია მაინც მოეწვიათ, რომელსაც ხელის მომწერლებმა ამ წერილის შედგენა და პატრონობა მიანდვეს...

მარა ისინი ასე მოექცენ არა მარტო ამ წერილს, არამედ ცეკას ბიუროსადმი მიწერილ წერილსაც. აილეს და სხვისი სხვაზე მიწერილი წერილი უკითხავად გამოაქვეყნეს...

ეხლა კიდევ უფრო ნათელია მკითხველისათვის თუ რა უპასუხისმგებლო გამოცემაა ეს წიგნაკი და რა სურვილი ამოქმედებდა მათ ავტორებს...

გრ. ურატაძე.

◆

ამხ. ვ. წულაძის წერილი

(ეს წერილი ამხ. წულაძემ გაუგზავნა ბროშიურის სარედაქციო კოლეგიას მათი შეკითხვის საპასუხოთ)

პატივცემულო ამხანაგო,

მივიღე თქვენი წერილი, სადაც მატყობინებთ, რომ ე. წ. ცენტრისა და ძველი ოპოზიციის დაჯგუფებებმა დაადგინა რომ გამოსცეს ის მემორანდუმი, რომელიც ჩვენ ცენტრისა და ოპოზიციის დელეგატებმა შევიმუშავეთ და ცეკას გავუგზავნეთ. მეკითხებით თუ ვარ თანახმა ამ დოკუმენტის გამოცემისა. გიპასუხებთ.

ამ დოკუმენტის გამოცემის გადაჭრით წინააღმდეგი ვარ, რადგან ის არის უაღრესად შინაპარტიული ხასიათისა და არავითარი გარემოება არ მოითხოვს მის საქვეყნოთ გამომზეურებას: პარტიის წევრთ რომელნიც საზღვარ-გარეთ იმყოფებიან დაუბეჭდავათაც სათითაოდ შეუძლიან მას გაეცნონ. საქართველოში მყოფ პარტიის წევრთ თქვენ მას ვერ მიაწვდენთ, საამისო საშვალების უქონლობის გამო, მაშ ვილასთვის უნდა დაბეჭდოთ? დარჩა ერთად ერთი,—ეს ჩვენი მოწინააღმდეგე პარტიები თუ ჯგუფები, რომლებსაც უეჭველათ გაახარებს ამ დოკუმენტის დაბეჭდვა და ისინი კიდევაც ისარგებლებენ მით ჩვენს დასამცირებლათ. განა ამისათვის ღირს მისი გამოცემა? ამ დოკუმენტის ეხლა გამოქვეყნება მით უფრო დაუშვებელია, რომ მათ ვის წინააღმდეგაც ის იყო მიმართული, აღიარეს ამ მემორანდუმის ძირითადი დებულებანი და ხელი გამოგვიწოდეს ამ ნიადაგზე ერთად სამუშაოთ. თქვენ ეს კარგათ მოგეხსენებათ. მაშასადამე დოკუმენტმა (დაუბეჭდავათაც) სავსებით მიაღწია თავის მიზანს, და ეხლა მისი საქვეყნოთ გამომზეურება არავითარი კეთილი მოტივით არ შეიძლება იქნას გამართლებული.

ორიოდ სიტყვა თვით გამოცემის წესზე. ნორმალური იქნებოდა, რახან ამ დოკუმენტის გამოცემის საკითხი წამოჭრილა, თავი მოეყარათ ყველა იმათ ვისაც ზედ ხელი უწერია. ისინი იმსჯელებდენ, მოისმენდენ მოტივებს როგორც მისი დაბეჭდვის მომხრეების ისე მოწინააღმდეგეებისას და ერთ აზრს დაადგებოდენ. ასეთი სათითაო შეკითხვებით, როგორითაც თქვენ მიმართავთ დელეგატებს და რომელშიდაც, სხვათა შორის არავითარი მოტივიც კი არ არის მოყვანილი, თუ რამ აიძულა ზემოხსენებული ჯგუფები აეღოთ ამ დოკუმენტის დაბეჭდვის ინიციატივა, არ მგონია რომ საკითხი ისე გადაწყდეს, როგორც ამას საქმის ინტერესები მოითხოვენ.

ამიტომ გთხოვთ, თუ დოკუმენტს მაინც გამოსცემთ, რომელზედაც მე ხელი მიწერია, მიაყოლოთ ეს პატარა წერილიც, რათა ყველამ იცოდეს თუ რისთვის ვარ მე წინააღმდეგი ამ დოკუმენტის საჯაროთ გამოქვეყნების.

ამხანაგური სალამით ვ. წულაძე.

◆

საქ. ს.-დ. მ. პ. საზღვარგარეთელ ბიუროში

საზღვარგარეთელი ბიურო თავის სხდომაზე (30 სექ. 1933 წ.) გაეცნო ოპოზიციონურ ჯგუფების მიერ გამოცემულ ბროშიურას. ეს უკანასკნელი შეიცავს ტენდენციურათ შერჩეულ შინაპარტიულ მიწერ-მოწერას; სხვათა შორის გამოქვეყნებულია ბიუროსათვის გამოგზავნილი ცენტრალურ კომიტეტის წერილი. ბროშიურის გამომცემელთ საამისო ნებართვა არ უკითხავთ არც წერილის ავტორისათვის და არც მისი ადრესატისთვის. ბიურო აღშფოთებას გამოთქვამს ასეთი საქციელის გამო და აღიარებს მას პარტიის ინტერესებისათვის მავნებელ აქტათ.

⁂

ამავე სხდომაზე ბიურომ დაადგინა მიმდინარე წლის 23 დეკემბერს მოწვეულ იქნას პარიზში უცხოეთში არსებულ პარტიულ ორგანიზაციათა კონფერენცია.

ახალი წიგნი ფრანგულ ენაზე
NOÉ JORDANIA :
DIFFICULTÉS SOCIALISTES
ფასი 8 ფრანკი.
იყიდება დ. ხელაძესთან. მისამართი:
M-r D. Khéladzé
50, rue Fobourg du Temple. Paris.

---

*) ეს მოსაზრებები მე წერილობით ვაცნობე თავის დროზე ბროშიურის სარედაქციო კოლეგიას.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise.*
Le Gérant : René Toussaint,